ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გიორგი ღვინიაშვილი: „10 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა დაგეგმილი იყო“

გვ.3

ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 2014 №220 (6531) ფასი: 30 თეთრი

ზაქარია ქუცნაშვილი: „მარგველაშვილი ოპოზიციური ძალის შექმნას არ აპირებს“

გვ.3

„ეს დაპირისპირება მხოლოდ საქართველოს მტრებს აწყობთ, ამიტომ ყველა პატიოსანი ჰოქალაქის ვალია, ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს. ჩვენ ვისაუბრებთ იმ საკითხზე, რომელიც ქართველ ხალხს აინტერესებს. საჭიროა პრეზიდენტთან დიალოგი და, დარწმუნებული ვარ, ის იქნება წარმატებული. მე მჯერა, რომ მოიხსნება ის წინააღმდეგობა, რომელიც მხოლოდ საქართველოს მტრებს სჭირდებათ“.

„ციგნების ბაზრობა“ დაწვეს?!

დაზარალებულებს საგაჭრო ფართს გამოუყოფენ

გვ.2

მოვაჭრეების ნანილის მტკიცებით, ხანძარი ბაზრობაზე მიზანმიმართულად გაჩნდა და საქონლის ნანილი ცეცხლის გაჩენამდე არის გაქუჩდული, ჯვაროს დაფარვის მიზნით ჯი – გადამწვარი. მათი ინფორმაციით, ტერიტორიის გასხვისება და ადგილზე ტრაიდერების ავტოსადგომის განთავსება ან „ჯარფუჩის“ მშენებლობა იგეგმებოდა.

ISSN 1987-9385

რეზო ამაშუკელი: „მოღალატე მინისტრებს მალე დავასახელებ!“

გვ.4

მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლებამ სოციალური ვალდებულებები უნდა შეასრულოს!“

გვ.6

დავით ნარმანია: „იძულებული ვართ, ქამრები შემოვიჭიროთ“

შორენა გონგლაძე

დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული იქნება – ამის შესახებ თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიამ საკრებულოში ბრიფინგზე განაცხადა. სამუშიას განცხადებით, უფრო მეტად გაიზრდება სოციალური პოლიტიკის დაფინანსება და ის სოციალური პაკეტი, რომელიც ახლა არსებობს.

ჯაბა სამუშიამ „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნო დაპირებებზეც ისაუბრა და მოსახლეობას ყველა პროექტის შესრულებას ჰპირდება. როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, ნაციონალურმა მოძრაობამ მერიას მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც გრძელდება სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

სამუშიამ დეტალურად ისაუბრა ბაგა-ბაღების მშენებლობებზე. მისი თქმით, დედაქალაქში დაწყებულია სამი ბაღის მშენებლობა. მოსკოვის გამზირზე ყოფილი №28 ბაღის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის სასწავლებლის ასაშენებლად ყველა პროცედურა დამთავრებულია და სამუშაოები რამდენიმე დღეში დაიწყება. მანჯგალაძის ქუჩაზე, ყოფილი რკინიგზის ბაღის ტერიტორიაზე კი სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერია გამოცხადებული. რაც შეეხება მე-8 ლეგიონის ყოფილ 37-ე ბაღს, მასზე ტენდერი დოკუმენტაციის მომზადებისთანავე გამოცხადდება.

– 10 მილიონზე მეტია დახარჯული ავარიული სახლების სადარბაზოებზე. ეს თანხა რომ იყოს თბილისის ბიუჯეტში, მერწმუნეთ, ყველა სოციალური კუთხით მიმართული პროექტი ამუშავდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ მემკვიდრეობად დაგვხვდა გაძვალტყავებული ბიუჯეტი და დღეს ჩვენ იძულებულები ვართ, რაიონის გამგეობებს დავუმატოთ 5 მილიონ 600 ათასი ლარი იმისათვის, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუხლით სამუშაოები არ შეჩერდეს. 8 მილიონი ლარი დავუმატოთ სოციალურ დახმარებებს, იმისათვის, რომ ეს პროექტი არ გაჩერდეს, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ ფულები წინასაარჩევნოდ გამოიყენა.

სამუშიას განცხადებით, საკრებულო და დედაქალაქის მთავრობა ორ მნიშვნელოვან პროექტს იწყებენ, რაც მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერასა და სოციალურ დახმარებას ითვალისწინებს. რაც შეეხება სხვა პროექტებს, სამუშიას თქმით, მათი განხორციელება მომავალი წლიდან გახდება შესაძლებელი.

ბიუჯეტთან დაკავშირებით პრეტენზიები აქვს ნაციონალურ მოძრაობას, ისინი აცხადებენ, რომ ახალი ბიუჯეტი 2003 წლის შემდეგ საქართველოში შედგენილი ყველაზე ცუდი ბიუჯეტი იქნება.

როგორც საკრებულოს ოპოზიციურ ფრაქციაში აცხადებენ, ეს ფინანსური დოკუმენტი, ნაცვლად მოსახლეობისათვის დაპირებების შესრულებისა, თბილისის ახალი მთავრობის უუნარობას ასახავს.

ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ დავით ნარმანია და მისი მთავრობა ცენტრალურ ხელისუფლებაზე უსაზღვროდ დამოკიდებული და მათი დავალებების შემსრულებელია და ისინი ვერც მომავალში შეძლებენ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებას.

– აღნიშნული კი ქალაქში იწვევს ბევრი პრობლემის შექმნას, რომლის მცირე ჩამონათვალიც გვინდა გავაცნოთ თბილისელებს. წელს აღარ დაიწყება ახალი საბავშვო ბაღის შენობების მშენებლობა; ქალაქში აღარ აშენდება მრავალსართულიანი ავტოპარკინგები; გაუქმდა უკვე ჩატარებული სამშენებლო ტენდერი და აღარ გამაგრდება 32 მწვავედ ავარიული საცხოვრებელი სახლი; აღარ მოხდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემა ან დასამთავრებელი შენობების მშენებლობა; აღარ აშენდება 2 ახალი მედიათეკა: აღარ აშენდება გმირთა მოედნიდან ლაგუნე-ვერეს მონაკვეთზე და ვაშლიჯვრიდან დიღმის მიმართულებით ხიდები, არ გაიზრდება კომუნალური ვაუჩერის ოდენობა. არადა, მათი წინასაარჩევნო დაპირება იყო: თბილისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები კომუნალური ვაუჩერებით სარგებლობის პროგრამის ფარგლებში ისარგებლებდნენ გაორმაგებული შეღავათებით (500 ლარი დღეს არსებული 250 ლარის ნაცვლად); არ შემოაქვთ მათი პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილებზე, კერძოდ, მათი დაპირებით: თბილისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები ყოველ დაბადებულ ბავშვზე მიიღებენ 500-ლარიან ვაუჩერს, ხოლო ტყუპის შემთხვევაში ეს ვაუჩერი გაიცემა თითოეულ ბავშვზე ცალ-ცალკე; ასევე აღარ აშენდება მუნიციპალური ავტობუსების ახალი ავტოპარკი. აღარ გრძელდება მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია და მათი უსაფრთხოების კამერებით აღჭურვა; მიუხედავად აქტიური დაპირებებისა, არ არის გათვალისწინებული არანაირი სიახლე ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის, მწვანე საფარის გაუმჯობესების კუთხით და მისი დაფინანსება მცირდება; 1 550 000 ლარით მცირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსება. ძალიან გასაკვირია, რატომ მცირდება დაფინანსება, როდესაც გამოძახებების რაოდენობა მუდმივად იზრდება და პროპორციულად იზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება დაგვიანებების თუ სხვა კუთხით. მეწარმეობის მხარდაჭერის მუხლი მცირდება 3 500 000 ლარით, რაც დამწყები და მცირე მეწარმეებისათვის დახმარებაზე უარის თქმას ნიშნავს; 200 600 ლარით მცირდება კალათბურთის ხელშეწყობის პროგრამა. ეს მაშინ, როდესაც კალათბურთის ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და სპორტის ამ სახეობას სახელმწიფოსგან რეალური თანადგომა ესაჭიროება, – აცხადებენ ფრაქციაში.

ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნებას“ ბიუჯეტში მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების გათვალისწინებას სთავაზობს. ესენია: მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას არსებული შეღავათების სისტემის კიდევ განვრცობა; მზის ენერგიისა და გაზმომარაგების ახალი სისტემის გამოყენებით იაფი ცხელი წყლითა და გათბობით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის ამ პროექტის ჩართვა თუნდაც თანადაფინანსების პროგრამებში; წარჩინებული სტუდენტებისათვის ფასიანი სტაჟირების პროგრამის, სახლში უფასო ინტერნეტის, სტიპენდიის შეთავაზება; სტუდენტებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა, რაც დარჩენილ 4 თვეში ბიუჯეტიდან დამატებით დაახლოებით 1 800 000 ლარის გამოყოფას საჭიროებს; ე.წ. მეცამეტე ხელფასი მერიის დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და საწარმოების თანამშრომლებისთვის (სატრანსპორტო კომპანია, საბავშვო ბაღები, დასუფთავების კომპანია, სინათლის ქალაქი და ა.შ). ამავე უწყებების თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდა, ისევე, როგორც ეს განახორციელეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაკებისთვის.

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკას დედაქალაქის მერი დავით ნარმანია გამოეხმაურა. ნარმანიას განცხადებით, მათ ნაციონალებისგან არცთუ სახარბიელო მემკვიდრეობა ერგოთ, რის გამოსწორებასაც სერიოზული მუშაობა სჭირდება.

– ეს არის ყველაზე ცუდი ბიუჯეტი, რაც მე ოდესმე მინახავს. მათ დაგვახვედრეს განიავებული ბიუჯეტი ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში, დაგვახვედრეს ბოლომდე გახარჯული ბიუჯეტი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ნაწილში. ჩვენ იძულებულები ვართ, ქამრები შემოვიჭიროთ, – აცხადებს დავით ნარმანია.

დედაქალაქის მერის თქმით, ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები, რის გამოც რესურსების მოზიდვა გარედან სჭირდებათ.

შორენა გონგლაძე

„ციგნების ბაზრობა“ დაწვეს?!

თბილისში, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ე.წ. ციგნების ბაზრობა დაიწვა. ხანძარი გვიან ღამით გაჩნდა. ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე რამდენიმე სახლის სახურავსაც გადაედო. შეტყობინება ხანძრის შესახებ 112-ზე დილის 6 საათზე შევიდა. ბაზრობაზე 300 მოვაჭრე მუშაობდა. დამწვარია 2500 კვმ ფართობი.

ამ ეტაპზე უცნობია, თუ რამ გამოიწვია ხანძრის გაჩენა, ოფიციალური ინფორმაციით, ხანძრის გაჩენის მიზეზებს გამოძიება დაადგენს, რაზეც უკვე მუშაობა მიმდინარეობს. რაც შეეხება მოვაჭრეებს, რომლებიც აღნიშნულ ბაზრობაზე მუშაობდნენ, აცხადებენ, რომ ხანძარმა მათ დიდი ზარალი მიაყენა, მოვაჭრეები არ გამორიცხავენ, რომ ამ ტერიტორიაზე ხანძარი შემთხვევით არ გაჩნდა. როგორც მოვაჭრეები ამბობენ, ბაზრობის ტერიტორიაზე ღამის საათებში ელექტროენერგია ირთვება და აქედან გამომდინარე, მოვაჭრეები ელექტროენერგიის მიზეზით ხანძრის გამოწვევას გამორიცხავენ.

მოვაჭრეების ნაწილის მტკიცებით, ხანძარი ბაზრობაზე მიზანმიმართულად გაჩნდა და საქონლის ნაწილი ცეცხლის გაჩენამდე არის გაქურდული, კვალის დაფარვის მიზნით კი გადამწვარი. მოვაჭრეების ნაწილი ხანძრის მიზანმიმართულად გაჩენაზე საუბრობს. მათი ინფორმაციით, ტერიტორიის გასხვისება და ადგილზე ტრაილერების ავტოსადგომის განთავსება ან „კარფურის“ მშენებლობა იგეგმებოდა.

ამ ეტაპზე ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის რაოდენობა უცნობია, თუმცა მოვაჭრეები ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. მოვაჭრეების პოზიციას ხანძრის მიზეზებზე ბაზრის დირექტორი სპარტაკ ჩალაძე არ ეთანხმება.

– არა მგონია, რომ იყოს შეგნებულად გაკეთებული, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ. უნდა ჩატარდეს გამოძიება, – აცხადებს ჩალაძე.

თბილისის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ გიორგაძე აცხადებს, რომ ხანძრის შედეგად 2 500 კვადრატული მეტრი ფართი დაიწვა, თუმცა არავინ არ დაშავებულა.

– ხანძარი საკმაოდ ძლიერი იყო და გაჩნდა საფრთხე, რომ ცეცხლი საცხოვრებელ ფართზეც გადავიდოდა. ხანძარი ამ დროისათვის მთლიანად ლოკალიზებულია.

ბაზრის ტერიტორიაზე დიდუბის რაიონის გამგებელი ირმა ზავრადაშვილი მივიდა. მისი თქმით, ცენტრალური ხელისუფლება დაზარალებულებს შეძლებისდაგვარად დაეხმარება. მოგვიანებით, დედაქალაქის მერის მოადგილე გიორგი სოლომონია, დიდუბის რაიონის გამგებელი ირმა ზავრადაშვილი და საკრებულოში დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ძნელაძე ბაზრობის დირექციას შეხვდნენ.

როგორც დეპუტატმა ლადო ძნელაძემ განაცხადა, ბაზრობის დირექციის წარმომადგენელი ბანკთან მოლაპარაკებას აწარმოებს, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ ააშენებს ობიექტს, სადაც ბაზრობის ძველი იერსახის დაბრუნებამდე მოვაჭრეებს დროებით შეუშვებენ. მისივე თქმით, საკითხი თბილისის მერ დავით ნარმანიასთან ერთად უნდა განიხილონ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზაქარია ქუცნაშვილი: „მარგველაშვილი ოპოზიციური ძალის შექმნას არ აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

პრეზიდენტი მარგველაშვილი ყვლავ ყურადღების ცენტრშია. ბოროტი ხმები და სარწმუნო წყაროები ამტკიცებენ, ოპოზიციური ფრთის ჩამოყალიბებას აპირებსო. მეცნიერები მას ახლა კონსტიტუციის ძალით უტევენ და ახსენებენ, თუ ვისი წყალობით გახდა ის პრეზიდენტი.

– როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, გიორგი მარგველაშვილი ჩვენი გუნდის წევრი იყო და ჩვენი მხრიდან კოალიციის მხრიდან იქნა ის დაყენებული მისი კანდიდატურა და გვახსოვს მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ბატონი ბიძინა ივანიშვილი ბავშვივით დაატარებდა, რომ მისთვის ამომრჩეველს ხმა მიეცა. ეს იყო რეალობა ჩვენ ამას ვერ გავექცევით. თუმცა მერე რა მოხდა რთული სათქმელია, იყო ასევე კონკრეტული საკითხი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შესვლასთან დაკავშირებით და ბატონ გიორგის ჰქონდა პოზიცია, რომ ის არ აპირებდა იქ შესვლას, –-განაცხადა კახი კალაძემ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით კი, საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში შეიძლება მნიშვნელოვანი რამ გაკეთდეს. ამის შესახებ განცხადება ოთარ დანელიამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რამდენიმე თვის წინ დავით უსუფაშვილს განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ათონელზე მშენებარე სასახლეში რემონტი დასრულდება, პრეზიდენტი სამუშაოდ იქ გადავა. სოფლის მეურნეობის მინისტრს არ დაუკონკრეტებია თუ რა დატვირთვა შეიძლება შეიძინოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციამ.

– მე მგონია, რომ ეს არის ერთ-ერთი ვერსია, რომელზეც მიჭირს რაიმე კონკრეტული შეფასების გაკეთება, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სხვადასხვა ვერსია მოვისმინე ამ ბოლო დროის განმავლობაში და ალბათ დამოკიდებული იქნება რეალურად იმაზე, თუ რა მოხდება. მე, ზოგადად, ვფიქრობ, რომ ის შენობა, რომელშიც დღეს პრეზიდენტია, ალბათ, რაღაცა ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება გაკეთდეს, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს გამარჯობაც კი ძნელად ან საერთოდ არ ემეტება, როგორც თავად ბრძანებს, „სახელმწიფოს და არა მთავრობის მინისტრებისთვის“. ამის შესახებ აღშფოთებულმა პეტრიაშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

პეტრიაშვილის თქმით, სანამ უცხოეთში ვიზიტად წავიდოდა, ქვეყანაში ერთი საგანგაშო ფაქტი შენიშნა.

– ვიზიტიდან გამოხმაურება ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ უყურადღებოდაც ვერ დავტოვებ. „ამ დილას მივიღე დადასტურებული ინფორმაცია, რომ გარკვეულმა ძალებმა ორგანიზებულად ჩაშალეს ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. რას ნიშნავს ეს? ვინ ჩაშალა? თუ ვინმე მისი მოქმედი, ყოფილი თუ არაფორმალური მრჩევლებიდან ჩართული იყო ამ „ჩაშლაში“, უნდა განიმარტოს. თუ საგარეო უწყებას გულისხმობს, მაგაზე მე პირადად ძალიან მძაფრი რეაქცია მქონდა, მაქვს და არც ახლა დავმალავ: საგარეო უწყება აკეთებს მაქსიმუმს, რომ საუკეთესოდ წარმოაჩინოს ქვეყანა და არა პირიქით, როგორც ამის წარმოჩენას ბოლო პერიოდში ყველაზე აქტიურად „მოტალეირანო ელემენტები“ (ტალეირანთან ბოდიში მომითხოვია) ცდილობენ. შედეგები სახეზეა და ამაზე თავიდან აღარ მოვყვები. ე.წ. ექსპერტების ქილიკიც მახსოვს, ვის გაუგია საგარეო საქმეთა მინისტრი უელსში მართავდეს კონსულტაციებს პრეზიდენტთან გაერო-ში გამგზავრების თაობაზეო. ასეთ შემთხვევაში, მე მიჩნდება შეკითხვა, ვიზიტის გაშუქებისას რატომ არც ერთ ე.წ. ექსპერტს არ გაუჩნდა პრეტენზია – ვის გაუგია (და ამ შემთხვევაში ნამდვილად არ ვანიჭებ ჩემს თავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას), ერთი კაციც კი ესწრებოდეს პრეზიდენტის მხრიდან უმაღლესი დონის შეხვედრას და ეს არ იყოს საგარეო საქმეთა მინისტრი? მაგარი გაუგებარი და მაგარი არასწორია. უელსში საქმიანი და გუნდური მუშაობა გვქონდა დელეგაციის წევრებთან პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, ერთად ვამუშავებდით გასახმიანებელ პოზიციებს, მაგრამ მათგან განსხვავებით, სამწუხაროდ, პრეზიდენტისთვის თითქოს ეს ორი მინისტრი იქ საერთოდ არ არსებობდა. ეს ასეა. ეს თავად პრეზიდენტმაც კარგად იცის, მისმა გარემოცვამაც და, სამწუხაროდ, ბევრმა სხვამაც, – წერს ალექსი პეტრიაშვილი.

– იყო ერთი მითქმა-მოთქმა, ვინ მივიდა, ვინ არ მივიდა. ვისაც ეგების და არ ეგების, დღეს ძალიან ბევრი დგას პრეზიდენტის ინსტიტუტის სადარაჯოზე. კი ბატონო, გჯერათ, არ გჯერათ, მეც გულწრფელად გიერთდებით. ჩემს მიმართაც გაისმა კრიტიკა, მაგრამ აქ მიჩნდება ერთი შეკითხვა – ჩემგან თუ მოითხოვება პრეზიდენტის ინსტიტუტის პატივისცემა, პრეზიდენტი რომ ამბობს და გვარწმუნებს, მე ვარ კონსტიტუციის გარანტიო, რომელ კონსტიტუციის გარანტობაზეა საუბარი, როცა გამარჯობაც კი ძნელად ან საერთოდ არ ემეტება, როგორც თავად ბრძანებს, „სახელმწიფოს და არა მთავრობის მინისტრებისთვის“. გამარჯობის თქმას და ხელის ჩამორთმევას რაღა უდგას წინ, მაგალითად, საბჭოს სხდომის დაწყებამდე? არც ხელის ჩამორთმევით ან არჩამორთმევით დამაკლდება ან მომემატება მე პირადად რამე, მაგრამ აქ საკვანძო სიტყვა არის ურთიერთპატივისცემა – არსებობს ასეთი კარგი და მრავლისმეტყველი სიტყვა! მე პირადული ბევრი მომითმენია და ამ თმენის ვალდებულებასაც ნამდვილად ვგრძნობ, მაგრამ ეგრე არ გამოვა და დიდხანსაც ვერ გასტანს. ცალმხრივი არაფერი არ ვარგა. პრეზიდენტი კი არა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები წავიდნენ ამ ქვეყნიდან (ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი ამყოფოს საქართველოს პრეზიდენტი თავის ცოლშვილთან ერთად. ამას ხაზგასმით იმიტომ ვწერ, რომ ვინმე „ენამოსწრებულს“ და ჩასაფრებულს თავში აზრად არ მოუვიდეს, სიცოცხლეც კი არ ემეტება პრეზიდენტისთვისო), დღესაც განვიცდი, მაგრამ ცხოვრება მიდის. აი, სახელმწიფოსთან და ქვეყნის ინტერესებთან როცა გვაქვს საქმე, სადაც სათქმელია, იქ უნდა ითქვას და სანამ დროა, მაშინ უნდა ითქვას, რომ მერე სანანებელი არ გაუხდეს ქვეყანას. მე სხვა ტიპის პრეზიდენტს დავუჭირე მხარი და სხვას ვხედავ დღეს. „კონსილიერების“, „ინსაიდერების“, ამალის და ხალხურად „ჩორტის ჩამგდებების“ ბრალია ეს თუ, ყველაფრისმცოდნე ექსპერტების, ფაქტია, რომ პრეზიდენტს სჭირდება დროულად განმარტება და რაც მთავარია, სწორი განმარტება, გნებავთ დახმარებაც დაარქვით ამას, სად, ვინ, რაზეა პასუხისმგებელი და რისი გარანტი, თორემ კონკურენცია მე გამიგია ბიზნესში, გნებავთ სპორტულ გუნდში მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ადგილის დაკავებისთვის, მაგრამ არა პოლიტიკურში. მთავრობაში, მადლობა ღმერთს, ასეთი კონკურენცია არ არსებობს, სხვათა შორის, არც ჩემს პარტია „თავისუფალ დემოკრატებში“. ყველაფერი შეთანხმებულია და გარკვეულია. მე ასე მესმის: ან არის გუნდი, ან არა. თუ შეთანხმება შედგება მსოფლიო მედიის ჩარევის, აჟიოტაჟის და საყოველთაო ისტერიის გარეშე, ნამდვილად გამიხარდება. ჩემი აზრით, სწორი და მართებული ასე იქნება. მთავრობა ამისთვის მზად არის. პრეზიდენტი? არ ვიცი. მინდა, რომ იყოს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, – წერს პეტრიაშვილი.

არსებული დაპირისპირება, ეტყობა, ძალიან აწუხებს დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს. ის გუშინ ავლაბრის რეზიდენციაში პრეზიდენტთან შესახვედრად მივიდა და თან კონსტიტუცია მიიტანა. ჟურნალისტების კითხვამ, რა ეკავა ხელში, დეპუტატი გააღიზიანა.

– თქვენი შიშით ხელში ვერაფერი ვერ უნდა დავიკავო, – იხუმრასავით ზაქარია ქუცნაშვილმა.

დეპუტატის თქმით, ის ხალხის არჩეულია და ვალდებულია არსებული დაპირისპირება განმუხტოს.

– ეს დაპირისპირება მხოლოდ საქართველოს მტრებს აწყობს, ამიტომ ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს. ჩვენ ვისაუბრებთ იმ საკითხზე, რაც ქართველ ხალხს აინტერესებს. საჭიროა პრეზიდენტთან დიალოგი და დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება წარმატებული. მე მჯერა, რომ მოიხსნება ის წინააღმდეგობა, რაც მხოლოდ საქართველოს მტრებს ჭირდებათ, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კონსტიტუციით შეიარაღებული ქუცნაშვილი მიიღო. მათი შეხვედრა 2 საათს გაგრძელდა, როგორც დეპუტატმა შეხვედრის დასრულების შემდეგ განმარტა, პრეზიდენტი იმ კონსტიტუციურ შეზღუდვებს იზიარებს, რაც მის მიმართ ვრცელდება.

– შეხვედრა იყო ნაყოფიერი. შევთანხმდით მთელ რიგ საკითხებზე. კერძოდ, საპარლამენტო უმრავლესობასთან კომუნიკაციის დალაგებისთვის, სისტემური შეხვედრების მოწყობა აუცილებელია და პრეზიდენტმა გამოთქვა მზაობა, რომ უახლოეს პერიოდში, საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდება. ასევე, ის მზად არის, ყველა შეკითხვაზე, რაც კი დეპუტაციის შიგნით არსებობს, პასუხი გასცეს. ასევე, შევთანხმდით საგარეო წარმომადგენლობითი პოლიტიკის წარმოებისას, პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე ანუ პრეზიდენტი იმ კონსტიტუციურ შეზღუდვებს იზიარებს, რაც მის მიმართ, საგარეო წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისას ვრცელდება. ერთადერთი, რასაც პრეზიდენტი საგარეო წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისას შეთანხმების გარეშე უშვებს, ეს მოლაპარაკების და შეთანხმების მიზნის გარეშე, საგარეო ვიზიტებია, – აღნიშნა ზაქარია ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, პრეზიდენტი ოპოზიციური ძალის შექმნას არ აპირებს და მზადაა, საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდეს.

დავით უსუფაშვილი: „ვეთანხმებოდი გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ამბობდა, რომ პრეზიდენტის სასახლეში არ შევიდოდა“

მე ვეთანხმებოდი გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ამბობდა, რომ ის პრეზიდენტის სასახლეში არ შევიდოდა, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა „მაესტროს ცხრიანში“ განაცხადა.

მისი თქმით, პრეზიდენტის სასახლეში არ გადასვლა იყო გიორგი მარგველაშვილის პოზიცია არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგაც. „ამასობაში გიორგი მარგველაშვილი იმ სასახლეში რომ გადავიდა, სინამდვილეში ბოლომდე არც და ვერც გადასულა, იმიტომ, რომ მას პრეზიდენტის სამუშაო ოთახი არ დაუკავებია. მე დაახლოებით ერთი თვის წინ მქონდა შეხვედრა და ის მუშაობს გვერდზე, ადმინისტრაციულ კორპუსში მდებარე ოთახში.

ვისურვებდი, რომ მოგვარებულიყოს ეს საქმე ისე, როგორც მე პირადად გიორგი მარგველაშვილმა მითხრა, როდესაც ჩვენ ამ თემაზე გვქონდა საუბარი. როდესაც მასთან ამ თემაზე ბოლო საუბარი მქონდა, მე სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ეს იყო 2-3 თვის წინ ალბათ, მან მითხრა, როდესაც იქნება მზად ათონელზე ის შენობა, გადავალ იქ და საერთოდ იქნება სახელმწიფო შენობების საკითხი ჩავაბაროთ იმას, ვისაც ეკუთვნის. ეს საკითხი მგონია, რომ მოგვარებადია, უბრალოდ ნაბიჯებია სწორად გადასადგმელი“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

კითხვაზე, მოგვარებაში გულისხმობს თუ არა მარგველაშვილის პრეზიდენტის სასახლიდან გამოსვლას, უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მოგვარებაში გულისხმობს მოგვარებას. „საკმარისად ვთქვი მე რა ვიცი, რა პოზიცია იყო, ამის იქით ამ თემაზე აღარ წავალ“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პრეზიდენტის სასახლის თემასაც გამოეხმაურა.

„ცალკე საკითხია სასახლის თემა. მე სპეციალურად არ ვაღვივებ ამას, ველოდები, რას იზამს საზოგადოება, მასმედია. ეკონომიკური ხასიათის კითხვებია. 16 ათასი კვადრატული მეტრის ფართობისაა სასახლე, მას (მარგველაშვილს) რეალურად სჭირდება 3 ათასი. 16 ათასი კვადრატული მეტრის ფართობის სასახლე უკავია – გადაამრავლეთ, იმ უბანში ერთი კვადრატული მეტრის გირაობა რა ღირს და ნახავთ, რომ 2-3 მილიონი დოლარი ზედმეტი იხარჯება. მე არ მინდა ამის გაღვივება, თუმცა ეს ყველაფერი მიწყნარებულია იმის გამო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ასე აწყობს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

გიორგი ღვინიაშვილი: „10 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა დაგეგმილი იყო “

ადვოკატის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი, რომ 10 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა დეგეგმილი იყო. ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი ღვინიაშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. ლაპარაკია რაფალიანცების ოჯახის ადვოკატ ლალი ბიწოშვილის განცხადებაზე, რომლის მიხედვით, 10 თვის ბავშვის მკვლელობა „ქართულ ოცნებას“ უკავშირდება.

„გაკეთებული განცხადებით, კიდევ უფრო გაღრმავდა ეჭვი, რომ ეს ფაქტი ოცნებისა და მისი ხელმძღვანელების, მათ შორის დღევანდელი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ კრიტიკული მიზნებისთვის იქნა გამოყენებული. დღიდან ამ ფაქტისა, გამოძიებას ვითხოვდით, მაგრამ დღეს გამოძიებული არაფერია. გამოჩნდა ადამიანი, რომელიც „ქართული ოცნების“ ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრი და ადვოკატია. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ბარბარე რაფალიანცის სიკვდილი „ქართულ ოცნებასთან“ იყო დაკავშირებული. ის კონკრეტულ პიროვნებას ასახელებს“, -- აღნიშნა გიორგი ღვინიაშვილმა. ნაცმოძრაობა საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და „ქართული ოცნების“ მომხრეებს მოუწოდებს, ბარბარე რაფალიანცის საქმის გამოძიება ერთად მოითხოვონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ლეგიტიმური იქნება ის ეჭვი, რომელიც ახლა არსებობს, რომ ეს დანაშაული „ქართული ოცნების“ მიერაა ჩადენილი.

მისივე თქმით, ყველა პირი უნდა დაისაჯოს, ვისი დანაშაულიც ობიექტური გამოძიების პირობებში გამოიკვეთება.

„თუკი გამოვლინდება, რომ მანანა ბერიკაშვილია დამნაშავე, უნდა დაისაჯოს. მე არავის ვადებ ხელს, განსხვავებით დღევანდელი ხელისუფლებისა, ერთხელ და სამუდამოდ, საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რა მოხდა ამ საზარელ ღამეს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში“, -- განაცხადა გიორგი ღვინიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 10 თვის ბარბარე რაფალიანცი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, 30 სექტემბერს, სოფელ კოლაგში ჯერჯერობით დაუდგენელ ვითარებაში დაიღუპა.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რეზო ამაშუკელი: „მოღალატე მინისტრებს მალე დავასახელებ!“

შორენა მარსაგიშვილი

რომელი მინისტრები უნდა მოიშოროს ირაკლი ღარიბაშვილმა, ვისი მითითებებით მოქმედებს გიორგი მარგველაშვილი, რას აპირებენ ნაციონალები – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პოეტი რეზო ამაშუკელი ესაუბრება.

რეზო ამაშუკელი:

– მესმის შეფასებები, რომ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაწყებული დაპირისპირება ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს. წისქვილზე კი არ ასხამს წყალს, არამედ, ეს არის ნაციონალების გეგმა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს გეგმა კარგა ხნის წინ დაიწერა. ყველა ხელისუფლების შიგნით არის ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული აზრი და დაპირისპირება, მაგრამ ეს ამბავი გარეთ არავის გამოაქვს. აქ კი ეს მარგველაშვილი გადმოდგა და ყველაფერი გარეთ გამოიტანა. პრეზიდენტი რომ ხარ, დედაკაცივით არ უნდა იჭორაო. მარგველაშვილმა ძალიან კარგად იცის, ივანიშვილის მხარდაჭერა რომ არა, დუშეთში თავისი ქათმებიც არ მისცემდნენ ხმას. ახლა გამოდის და გაიძახის, არჩეული ვარო. არჩეული არა ის.

– ბატონო რეზო, არჩევნებამდე თქვენც აქებდით მარგველაშვილს.

– არ უარვყოფ, რომ ვაქებდი. ვაღიარებ, დიდი შეცდომა დავუშვი. „კავკასიის“ ეთერში სტუმრობისას შევაქე. ვთქვი, ახალგაზრდა კაცია, კარგ რაღაცებს ლაპარაკობს. მერე გავარკვიე, ვინც იყო, გავარკვიე, სად იყო გამომცხვარი, რა გაუკეთებია ქვეყნისთვის და გადავირიე. ეგ და გიგა ბოკერია აზროვნებითა და იდეებით ღვიძლი ძმები არიან. ამ ნაციონალების გეგმის უკან ამერიკელებიც დგანან.

– იმათ რაღა უნდათ?

– ბოლომდე ვერ თმობენ ამ შეშლილ სააკაშვილს. არც ირაკლი ღარიბაშვილთან უნდათ ღია დაპირისპირება. ეს ახალგაზრდა კაცი, თავის მხრივ, ცდილობს, დასავლური კურსი შეინარჩუნოს. ესენი კიდევ ცდილობენ, შეცდომა დააშვებინონ და პუტინთან დააპირისპირონ. ჩვენ კიდევ პუტინის გადაკიდება გვინდა? კაცმა არ იცის, ხვალ და ზეგ რა მოხდება. ეს უსირცხვილო სისხლისმსმელები კი ყველაფერზე მიდიან, ოღონდ თავისი გაინაღდონ. ჩავლენ ამერიკაში, ვიღაცებს დააყრიან ფულს და თავიანთ სასარგებლოდ ალაპარაკებენ. ნაციონალებს იქ რამდენიმე დიდი მექრთამე მეგობარი ჰყავთ, რომლებიც ფულის გულისთვის ყველაფერზე მიდიან.

– დიდ მექრთამეებში ვის გულისხმობთ?

– სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ, მაგრამ, ხომ ცხადია, რომ ამ თავიანთ მფარველებს ფულს აძლევენ. მიზნის მისაღწევად ახალგაზრდებიც აამოქმედეს. „თავისუფალი ზონა“ სხვა არაფერია, თუ არა გაცოცხლებული „კმარა“. სააკაშვილის საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ბორდოლიდან სიბერის გამო გაგდებული ბოზივით დარბის აქეთ-იქით. ამ დღეებში ვიღაც მსახიობის, გვარად მახარაძის განცხადება წავიკითხე. უთქვამს, ვინც ღარიბაშვილსა და ივანიშვილს ემეგობრება, ჩემი მეგობარი ვერ გახდებაო. ვის რაში სჭირდება მაგათი მეგობრობა? ძალიან ცუდ საქმეს აკეთებენ ჟურნალისტებიც.

– ჟურნალისტებს რაღას ერჩით, ბატონო რეზო?

– ყველაზე არ ვსაუბრობ. იმათზე გეუბნებით, რომლებიც სამშობლოს ძირს უთხრიან. ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან ე.წ. ექსპერტებიც. ცოტა ხანში დედას ვუტირებ მაგათ. ყველას წარსული ვიცი. ეს ის ხალხია, რომლებიც ისე ღაღადებენ, როგორც მათ მუცლებს სჭირდება. მე ხალხს არ ვუყვარვარ იმიტომ, რომ პირში თქმა ვიცი და არავის ვინდობ. ჩემი პირდაპირობით უამრავი მტერი გავიჩინე, მაგრამ არ შემიძლია, გავჩუმდე. ან რას მიკეთებს ეს ინტელიგენცია. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ტაშს უკრავდა, ახლა კიდევ მის წინააღმდეგ გამოდიან. ან სად არის მწერალთა კავშირი? უგულავას და ქაცარავას ფულებით იუბილეებს რომ მართავდნენ. ახლა სად არიან? სად არიან და ჩასაფრებულები არიან, საჭირო დროს ელოდებიან. ახლა პატრიარქის შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ. ეკლესიას ლანძღავენ, მერე რომ გაუჭირდებათ, დავარდებიან მუხლებზე და დაიწყებენ, ღმერთო, გვიშველეო. იცოდნენ, რომ ღმერთი მოღალატეებს არ უშველის.

– მოდით, ისევ ნაციონალების გეგმას დავუბრუნდეთ. როგორც თქვენ თქვით, ეს გეგმაში მარგველაშვილიც მონაწილეობს.

– მონაწილეობს რომელია, ძალიან ამბიციური აღმოჩნდა. მთავარსარდალი კი არა, მთავარსარდელია და ასე დაწერეთ ეგ. ამბიციური გამოდგა და ცოცხალი თავით არ დათმობს თავის სავარძელს. აქეთ-იქით დარბის და ყველგან ცდილობს განცხადებების გაკეთებას. ცუდი ამბები შეიძლება დატრიალდეს ქვეყანაში. ძალიან სერიოზული ინფორმაციები მაქვს და ამიტომ ვლაპარაკობ ასე. მინდა რამდენიმე მინისტრიც გავაფრთხილო.

– მინისტრების რატომღა აფრთხილებთ?

– იმიტომ რომ ეგენიც ცუდ საქმეებში არიან გარეული. რამდენიმე მოღალატე მინისტრს ვურჩევ, ჭკვიანად დაეგდოს თავის სავარძელში. ძალიან ნუ ეპრანჭებიან ამ ამერიკას. ერთხელ ვთქვი და გავიმეორებ, საზღვარგარეთ არიან აფროამერიკელები, ჩვენთან კიდევ უფრო – ამერიკელები. თუ არ გაჩერდებიან და გონს არ მოეგებიან, მათ ვინაობას ყველას გავაგებინებ.

– განაცხადეთ, ქვეყანაში ცუდი რამეები მოხდებაო. ცუდ რამეებში რას გულისხმობთ?

– არეულობას. დიდი არეულობა იქნება, თუ ღარიბაშვილს არ დავუდექით მხარში. ვერ ნახეთ, რა შეხვედრა გამართეს სარფში? მიიღეს დავალებები სააკაშვილისგან და დაიწყეს მოქმედებები. ეს გოკა გაბაშვილი, ზოოპარკის გველისმჭამელ ბუს რომ ჰგავს, ვერ ხედავთ, რა განცხადებებს აკეთებს? გივი თარგამაძეს ივანიშვილისთვის წერილი მიუწერია, სადაც წერს, თქვენი ბოლო ადგილი ციხეშიაო. სახელმწიფომ რომ არ დააპატიმროს ეგეენი, სახლიდან გამოვათრევ მაგათ, ამ საქმეს თავს შევაკლავ! ხალხის გამოსაყვანად დიდი ძალისხმევა არ დამჭირდება, ისედაც მეხვეწებიან, თითი გაიშვირეო. მხოლოდ იმიტომ ვარ გაჩერებული, რომ ღარიბაშვილისთვის თავზე გადახტომა არ მინდა.

– ნაციონალებისა და მარგველაშვილის ქმედებებს გმობთ, მაგრამ ამ მთავრობის ყველაფერი მოგწონთ?

– მე იმ კატეგორიის კაცი არა ვარ, ვიძახო, რომ ყველაფერი კარგად არის. ახლაც არ მომწონს რაღაცები. ახლა ბევრს საუბრობენ, კრიმინალმა მოიმატაო, მოიმატებდა, აბა, რას იზამდა. ამაზე წინასწარ იზრუნა სააკაშვილმა.

– რას გულისხმობთ?

– ნაციონალებმა ყველა ციხეში შეყარეს, კრიმინალებიც და მათ გვერდში მდგომებიც. ყველა დაჭერილი ყავდათ და თავად კრიმინალობდნენ. უამრავ დანაშაულს ჩადიოდნენ, მაგრამ თავის თავს ხომ არ დაიჭერდნენ? არც ამ დანაშაულებს ახმაურებდნენ. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე, გადარეულმა სააკაშვილმა გარეთ უამრავი კრიმინალი გამოუშვა. საბოტაჟის რეჟიმშია დღეს ხელისუფლება, ვერც კი წარმოიდგენთ, რა დღეშია მთავრობა. ხალხი მისგან სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, ამის უფლებას ამერიკა არ გვაძლევს. გამუდმებით გვესმის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღშფოთებულია. აქამდე სად იყო ეს დეპარტამენტი? ან მაშინ რატომ არ შფოთავდნენ ყოველ მეორე კაცს მოსაკლავად რომ დასდევდნენ? 7 ნოემბერი და 26 მაისი რატომ არ დაგმეს? რატომ არ შეშფოთდნენ მაგათმა ელჩმა, ბასმა თუ კონტრაბასმა 26 მაისის დარბევას მწვანე შუქი რომ აუნთო? ხალხის ჩახოცვაში დამნაშავე ეგ ბასიც არის, მაშინ რატომ არ შეშფოთდა სახელმწიფო დეპარტამენტი? ერთი ვინმემ ამიხსნინთ, ამერიკელები რუსებზე ნაკლები იმპერიალისტები არიან? ჩვენ მშვიდობა არ გვიწერია მანამ, ვიდრე ნაციონალები სამუდამოდ არ ამოიძირკვებიან. ჯერ მხოლოდ ვაფრთხილებთ და ვურჩევთ, რომ წესიერად მოიქცნენ და აქაურობას გაეცალონ. თუ არ გაჩერდებიან, მიიღებენ საკადრისს. არეულობის მოსაწყობად დიდი ფული აქვთ. საზღვარგარეთ მინისტრი არ დატოვეს რომ არ მოესყიდათ. თქვენ რა გგონიათ მექრთამეები მარტო აქ არიან. მექრთამეებით სავსეა სახელმწიფო დეპარტამენტი. მთელი მანქანაა ამუშავებული მთავრობის წინააღმდეგ და ერთ წამში ვითხოვთ საქმის გაკეთებას.

– ნაციონალები უნდა ამოიძირკვონო, ამბობთ. ეს ხელისუფლება კი ყოფილ ნაციონალებს აწინაურებს. ეს ფაქტი არ გაღიზიანებთ?

– მაღიზიანებს რომელია? ამას მე არ მოვითმენ! იმიტომ რომ ყველა ნაციონალი არის მოწამლული და იმაზე ფიქრობენ, რა დაუშავონ ქვეყანას. სასწრაფოდ უნდა მოხდეს მათი გაცხრილვა.

– ხელისუფლება რატომღაც არ ჩქარობს.

– ასე უცბად ვერც მოიცილებენ, ამას დრო დასჭირდება. ეს ნაციონალები გამოდიან და ხელისუფლებას ნეპოტიზმს სდებენ ბრალად. ამ თემაზე ხმას როგორ იღებენ საერთოდ. სიდედრი და ბებია არ დატოვეს, ყველა სამსახურებში გააფორმეს. მოქალაქეთა კავშირი მე შევქმენი, მაგრამ პარლამენტში არ შევსულვარ, არც ფული მიკეთებია ქვეყნის ხარჯზე. ამათზე ნაკლებად კი არ მიყვარს ფული, მაგრამ არ ვიკადრე. ნაციონალებს ვურჩევ, სანამ ჩამომითვლია, ვინ ვინ არის, ხმა არ ამოიღონ.

– მოღალატე მინისტრებზე ისაუბრეთ ზემოთ. პარლამენტშიც თუ არიან ასეთები?

– პარლამენტი სავსეა მოღალატეებით. ოცნების სიით შესული დეპუტატებიდან რამდენიმე ჩემი მეგობარია. გარეთ რომ იყვნენ, კარგად ლაქლაქებდნენ, ახლა გატრუნულები არიან. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება როგორ გაბედეს? დაიხვიონ ეს კანონი და გაიკეთონ ყურში.

– ამ განცხადების გამო შეიძლება დისკრიმინაცია დაგდონ ბრალად.

– დამდონ და იყვნენ. როცა პატრიარქს და მართლმადიდებლობას გამილანძღავენ, უარესებს ვიტყვი. ქვეყანას ერთ რამეს ვურჩევ: ვინც ქართულ საქმეს გააკეთებს და ქართულად უძგერს გული, იმას დავუჭიროთ მხარი.

სამართალი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, თურქეთის ეროვნული პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის ხელმძღვანელობით, თურქეთის ეროვნული პოლიციის ექსპერტთა ჯგუფის დელეგაცია ეწვია.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის მიზანი, ერთობლივი ძალისხმევით ნარკოტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდაა.

შეხვედრა უკვე გაიმართა შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე თურქეთის ეროვნული პოლიციის ექსპერტთა ჯგუფი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების, ასევე, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ კანონმდებლობას, მისი გამოყენების სპეციფიკას და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიას გაეცნო.

მხარეებმა ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი ღონისძიებების შესაძლებლობები და მომავალი თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის ეროვნული პოლიციის დელეგაციამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური ლაბორატორია და ვალეს სასაზღვრო გამტარი პუნქტი მოინახულა.

ნიუსპრესი

პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეცხრე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში, 1979 წელს დაბადებული ლელა ღ. დაიკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 265 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 2,09 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

სასაზღვრო პოლიციას მოლდოვის სასაზღვრო უწყების წარმომადგენლები ეწვივნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას, მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები ეწვივნენ. მოლდოვის დელეგაცია, სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყების პრეზენტაცია გაიმართა.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსაც ესტუმრნენ და და ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

ვიზიტი საქართველოს სასაზღვრო პოლიციას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოლდოვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტს შორის 2014 წლის თანამშრომლობის გეგმის თანახმად ხორციელდება. მოლდოვის დელეგაცია საქართველოს დღეს დატოვებს.

ნიუსპრესი

აგვისტოში კრიმინალის დონემ 19,27 პროცენტით იკლო

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, ქვეყნის მასშტაბით სულ 2 405 დანაშაული დაფიქსირდა, საიდანაც 1277 დანაშაული გაიხსნა, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 53,1 პროცენტი შეადგინა.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი, გასული წლის ანალოგიური საანალიზო პერიოდის მაჩვენებლს 19,27 პროცენტით ჩამორჩება.

რაც შეეხება მთლიანად მიმდინარე წლის მონაცემებს, იანვარ-აგვისტოს პერიოდში ქვეყანაში სულ 17 458 დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 10 583 დანაშაული გახსნილია, გახსნის მაჩვენებელმა კი 60,62 პროცენტი შეადგინა.

სამინისტროს ცნობითვე, გასული წლის ანალოგიურ რვათვიან საანალიზო პერიოდთან შედარებით, ქვეყანაში დანაშაულმა 17 პროცენტით იკლო.

მედიანიუსი

№6 დაწესებულებაში პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო

სავარაუდო სუიციდის შემთხვევა დაფიქსირდა სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში, სადაც, გუშინ, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ორმა ინსპექტორმა, რიგითი შემოვლის დროს, 1963 წელს დაბადებული მსჯავრდებული ზ.ს. გარდაცვლილი იპოვეს. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, მსჯავრდებულმა საკანში თავი ჩამოიხრჩო.

„მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექის 115-ე მუხლითაა დაწყებული. გამოიძიებას პროკურატურის ზედამხვედველობით საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს. სიკვდილის მიზეზების დასადგენად უკვე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გარდაცვლილი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშია გადასვენებული“ – აცხადებენ სამინისტროში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და გარდაცვლილის ოჯახს უსამძიმრებს.

ნიუსპრესი

შუახნის ქალი ლიფტის შახტაში ჩავარდა

დიღომში მრავალსართულიანი სახლის ლიფტის შახტაში შუახნის ქალი ჩავარდა. მისი გამოყვანა სამაშველო სამსახურის თანამშროლებმა შეძლეს.

დაშავებულს ქვედა კიდურების მრავლობითი მოტეხილობა და სხეულის დაჟეჟილობა აღენიშნება. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ექიმების თქმით, დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. შეთხვევის მიზეზად ლიფტის გაუმართაობა სახელდება.

„სტუმრად იყო ჩემთან და რომ მიდიოდა, გამოიძახა ლიფტი და ჩავარდა. აღმოჩნდა რომ ლიფტი არ იყო მოსული და კარი მაინც გაიღო. რომ ჩავარდა, დაეცა ლიფტს“, – განაცხადა დაზარალებულის ახლობელმა ნინო ზარიძემ.

მედიანიუსი

აკაკი ასათიანი: „ივანიშვილი არავის უპირისპირდება“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ტრადიციონალისტ აკაკი ასათიანთან

– პატონო აკაკი, საკმაოდ სერიოზული კრიტიკა მოჰყვა საზოგადოების მხრიდან ივანიშვილის კიდევ ერთ საჯარო გამოსვლას. როგორია თქვენი, გარეშე თვალის მიერ დანახული სიტუაცია, რამდენად მართავს დღეს ივანიშვილი ქვეყანას?

– მართალია ბევრს არ მოსწონს ეს ამბავი, სხვათა შორის, დასავლელ პარტნიორებსაც. თუმცა, ბუნებრივია, რომ პროცესებში ერევა. ამ კაცის წყალობით მოვიდა ხელისუფლებაში ეს ხალხი და ის დაინტერესებული რომ იყოს ამ ხელისუფლების წარმატებით, წარუმატებლობით, რა გასაკვირია? და მეორე მხრივ, ეს ხელისუფლებაც რომ ითვალისწინებდეს მის მოსაზრებებს, მაგრამ როგორც ყოველთვის, მას საკმაოდ გულწრფელი დამოკიდებულებები აქვს, არ მალავს ამ თავის მოსაზრებებს და ამიტომ ცოტა უცხოდ გამოიყურება ეს ყველაფერი. კარგით, ვთქვათ, არ გამოჩნდებოდა და არ იტყოდა არაფერს, მაინც იქნებოდა ეს მომენტი, მაინც შეეკითხებოდნენ, მაინც შეუთანხმებდნენ, ასე იქნებოდა ეს, ბუნებრივია.

– ესე იგი კულისებიდან გამოვიდა და ღია თამაშის წესებით თამაშობს?

– დიახ, ასეა და ალბათ სწორსაც შვრება. მაინც სულ იყო ეს მითქმა-მოთქმა, რომ ის მართავს, კულისებს მიღმა დგას და ასე შემდეგ. მართავს, სიმართლე გითხრათ, არა მგონია ასე იყოს. მეეჭვება ყოველდღიურად ერეოდეს და ყოველი სამინისტროს მუშაობას წარმართავდეს, მაგრამ გარკვეული ტიპის კორექტივები ალბათ შეაქვს, თავის მოსაზრებებს გამოთქვამს და ამ მოსაზრებებს ითვალისწინებენ. სხვანაირად ალბათ ვერც იქნებოდა.

– მერედა, რამდენად შეეფერება ეს ყველაფერი დემოკრატიულ სახელმწიფოს?

– ეს ყველაფერი, ტიპური დემოკრატიისთვის ცოტა უცხოდ გამოიყურება. ეს უფრო ჰგავს ჩინეთის დესიატუდის.

– თუკი ასე უნდოდა, სადღა მიდიოდა?

– რა ვიცი, ალბათ თავისი ახსნა აქვს ამ ყველაფერს. ის ამბობდა კიდეც, რომ უცხოა ეს საქმე მისთვის და დისკომფორტს უქმნიდა. ის სხვანაირი ცხოვრების კაცია, მდიდარია, მისი დღის რეჟიმი სულ სხვანაირია. სხვანაირად მუშაობდა იმ სამყარო, სადაც ის იყო, ბიზნესს ვგულისხმობ, სულ სხვანაირი დამოკიდებულებები ჰქონდა. ასე გამუდმებულ რეჟიმში ყოფნა თან ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში, ცოტა რთული იყო მისთვის. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, მან დიდი პრეცედენტი შექმნა, დავანებოთ თავი იმას, რომ არჩევნები მოიგო და მშვიდობიანად გადაიბარა ხელისუფლება, ეს დიდი ისტორიული ამბავია, მაგრამ ის, რომ პრეზიდენტობა არ ინდომა და სწორედ პრემიერმინისტრობაზე გაამახვილა ყურადღება და შემდეგ პოსტიდანაც წავიდა, პრეცედენტია იმისი, რომ ის თანამდებობას არ ჩაბღაუჭებია.

– თუ კულუარებიდან უნდა ემართა, ამ წასვლას რა აზრი ჰქონდა?

– აზრი ისა აქვს, რომ პასუხისმგებლობა მაინც ხელისუფლებაზეა. ამიტომ ამას უნდა ითვალისწინებდეს მთავრობა, იგივე პარლამენტი.

– საქმეც სწორედ ეგაა, რომ მან მოიხსნა პასუხისმგებლობა, მაგრამ სიტუაციას მართავს ისე, როგორც მას უნდა...

– იცით რა, ამ ხელისუფლებას თუ არ უნდოდა პასუხისმგებლობის აღება, მაშინ ნუ დადგებოდნენ თანამდებობებზე. ალბათ ჯობდა დარჩენილიყო, მაგრამ ნათქვამი ჰქონდა კაცს, რომ აუცილებლად წავალო. თუმცა ეს პირადი საქმეა, კაცს ვერ დაადაჭალებ. აქამდე დავდევდით პრეზიდენტებს წადი, წადიო და ახლა კაცს დავაძალოთ, გინდა თუ არა დარჩიო? რბილად რომ ვთქვათ, ჩვენც ცოტა უცნაური საზოგადოება ვართ.

– ამ სიტუაციაში მაინც რომელი მხარეა დამნაშავე, ივანიშვილი თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი?

– ივანიშვილი არავის უპირისპირდება, უბრალოდ, ერთი ეგაა, რომ აქვს კრიტიკული გამონათქვამები. იგივე პრესასთან დაკავშირებით რომ ატყდა ერთი ამბავი. მისი კრიტიკული გამონათქვამები, განსხვავებით წინა პერიოდისგან, არ ნიშნავს ფიზიკურ მოქმედებებს. ეს არ არის მუქარა, ეს არ არის მერე პრობლემების შექმნის მცდელობა. პრესასთან დაკავშირებით იგივე თამაშის წესი არის, რომ ასე უნდა იყოს, ეს არის პრესის როლი და ეს ცნობილია, იცის ყველამ. ეს ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონ ალეკო ელისაშვილმა ასეთ ფორმულირებაში ჩადო,

მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლებამ სოციალური ვალდებულებები უნდა შეასრულოს!“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან

– ბიძინა ივანიშვილმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ თურმე მასაც უსმენენ, პორტატიული აპარატურა ვერ აღმოაჩინეს, ვერ პოულობენ, აბრალებს ნაციონალებს, რომ ისინი უსმენენ. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უსაფრთხოებაზე მათი პირადი ცხოვრების დაცულობაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. ამიტომ ნაციონალები ფლობენ ამ აპარატურას, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები თუ ვინმე სხვა კონკრეტული პირი, ამაზე აუცილებლად პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. კეთილი ინებოს, მიაკვლიოს, დასაჯოს, თუ ეს უკანონობაა, მიიღოს ზომები, საზოგადოების წინაშე პასუხი აგოს. ასეთი კრიმინალური ბანდა თუ არსებობს ქვეყანაში, ჩვენ, რიგითმა მოქალაქეებმა, რა გავაკეთოთ, თავი იმით ვიმართლოთ, რომ მსოფლიოში ასეთი აპარატურა არსებობს? კეთილი ინებე, კონტრაპარატურა შეიძინე, ზომები შესაბამისი გაატარე. ჩვენთვის დამშვიდების საფუძველი ნამდვილად არ არის ის, რომ ივანიშვილსაც უსმენენ. ეს უფრო არის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირადი სახის ინფორმაციის გავრცელებაზე ეს ხელისუფლება იხსნის პასუხისმგებლობას. ყველა უბედურება ვაბრალოთ ახლა ნაციონალებს, როგორც სსრკ-ის დროს იმპერიალისტებს აბრალებდნენ ყველა უკეთურებას, თუ უხარისხო იყო წარმოება და უვარგისი ავტომანქანები გამოდიოდა, ბრალდებოდა დასავლეთის ქვეყნებს. ჩრდილოეთ კორეაშია ასე. უსაფრთხოება რომ არ არის დაცული ქვეყანაში, ეს გამართლება არ არის.

– ივანიშვილი ჩვეულ ამპლუაშია, არ იშლის თავისას და, თუ რაიმე ცუდი ხდება, ამაში მედიასა და ექსპერტებს ადანაშაულებს. მედია კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება იმიტომ არის გაღიზიანებული, რომ მას ვერ აკონტროლებს. მედიის მიმართ ივანიშვილის შეფასებებზე რას იტყვით?

– ესეც არ გახლავთ მართებული მიდგომა, როგორც უნდა იყოს მიუღებელი რომელიმე სფერო ჩვენთვის, არ გვაქვს უფლება, რომ მთლიანად მედიას დავაბრალოთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა იყოს მედია კონტროლის ქვეშ? ჩრდილოეთ კორეაში ხდება მსგავსი პროცესები. დღესაც არიციან ჩრდილოკორელებმა რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიასთან წააგეს საფეხბურთო მატჩი. ასეთი სახელმწიფო თუ გვინდა, მოდით, ამაზე ღიად განვაცხადოთ. მედია არაფერ შუაშია, ცუდია, კარგია, არაობიექტურია თუ ობიექტურია მედია, თავად ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ამაზე, შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, საჯარო სივრცე ისეთი შექმნას, რომ კონკურენტუნარიანი გარემო იყოს, „რუსთავი 2-ს“ თუ მონოპოლიზებული აქვს სივრცე, ეს თავად ამ არხის დანაშაული არ არის, კეთილი ინებე, მიეცი საშუალება თავისუფალ ჟურნალისტებს ჯანსაღი კონკურენციისა და ყველას გაუწევენ კონკურენციას. პრობლემა ისაა, რომ თავად ხელისუფლებას აქვს შექმნილი მონოპოლიზებული გარემო და მერე უნდა, რომ ეს გარემო მას დისკომფორტს არ უქმნიდეს. ასეთი რამ შეუძლებელია. აქაც ხელისუფლებას აქვს ბერკეტები, ისევე, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნუ ამყოფებენ ნაციონალებს ოპოზიციურ ვითარებაში, ნუ უწყობენ ხელს და და მერე ნუღარ აბრალებენ ყველაფერს მათ. ნაციონალების არსებობა პოლიტიკურ სივრცეში ხელისუფლებას აწყობს იმიტომ, რომ იოლად დააბრალოს მას შეცდომები და არასწორი ქმედებები. ასეა მედიასთან მიმართებაში. მედია ხელისუფლებამ იმიტომ ამოიჩემა რომ არანაირი არგუმენტი არ გააჩნია სწორი პოლიტიკის გასატარებლად. ის რომ თბილისში და რეგიონებში მკვლელობები ხდება, ეს მედიის ბრალი არ არის. ქარიშხალი ატეხეს ჭიქაში და არ საუბრობენ არსობრივ თემებზე.

– ხელისუფლებამ, რომელიც დაუპირისპირდა მედიას, კარგად ვერ დაამთავრა მოღვაწეობა. ეს კარგად უნდა ესმოდეს ივანიშვილს და მთელ საპარლამენტო უმრავლესობას. შევარდნაძეს კარგად ესმოდა მედიის მნიშვნელობა და ყველა შეხვედრაზე საგანგებოდ აცხადებდა მედია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარიაო. ივანიშვილი მუდამ ცდილობს ჯოხი გადატეხოს მედიაზე და ექსპერტებზე, ამ დროს კი საკუთარ მინისტრებს არ აკრიტიკებს მაშინ როცა მინისტრები მართლა იმსახურებენ კრიტიკას.

– პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლების შიგნით მონაწილე ძალები არაკონკურენტუნარიანები არიან. საჯარო სივრცის გახსნა მათთვის მიუღებელია. არ გამოვა სსრკ-სა და ჩრდილოეთ კორეას მსგავსად ამ სივრცის მთლიანად დაკეტვა. კონფლიქტები სწორედ აქედან იწყება. კულუარულად ვფლობთ ინფორმაციას, რომელი მედიასაშუალება ვის მიერ იმართება. ხელისუფლება ამ თემაზე საუბრით თავად გრძნობს რომ უხერხულ ვითარებაში იგდებს თავს, არ რჩება სხვა გზა. ეს ხალხი არ მოსულა საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერით. ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოვიდნენ, იმიტომ კი არ მისცეს ხმა რომ მოსწონდათ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილი წასულიყო. ილუზორულ ოცნებას კარგ ცხოვრებაზე მხარი დაუჭირეს, დამთავრდა ქორწილი, გადავიდა პირველი ემოცია, დავდექით ფაქტის წინაშე, პარლამენტში გვყავს ხალხი, რომლებისთვისაც მხარი არ დაგვიჭერია, პრეზიდენტად გვყავს ადამიანი, რომელიც არჩეულია სხვისი ხათრით, მთავრობა არ ასახავს საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსს. ეს არამდგრადობა განაპირობებს ქაოტურ ვითარებას, რაც დღეს არის შექმნილი. საკუთარი სიმახინჯის დაბრალება სარკისთვის ხეირს არავის მოუტანს. აკეთე შენი საქმე, ნუ კამათობ, ხალხი გვერდით რომ დაგიდგება და დარწმუნდება, რომ საქმის კეთება შეგიძლია, ეს მერე ცხოვრებაზე აისახება. პრობლემები საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. მედიაშიც არ არის იდეალურად საქმე, მაგრამ პრობლემების სათავე ხელისუფლებაა.

– მურმან დუმბაძესა და ხელისუფლებას შორის მოხდა დაპირისპირება, ასევე მარგველაშვილსა და მთავრობას შორის დაპირისპირებაა. როგორ ფიქრობთ, მარგველაშვილი გადავა ოპოზიციაში?

– ჯერჯერობით ვფიქრობ, რომ არავინ არსად გადავა, სანამ არ ამოიწურება კეთილდღეობის მოპოვების შესაძლებლობები, მერე კი გავლენის გაფართოების შესაძლებლობები. მერე კი, როცა ეს ყველაფერი ეკარგებათ, ოპოზიციაში გადასვლას ზოგადსაკაცობრიო მიზეზებით ამართლებენ. თუ მარგველაშვილს უნდა, გულწრფელად შეცვალოს რამე, ამისთვის არსებობს ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრების დამკვიდრებისთვის გზა. უახლოეს მომავალში ეს გამოჩნდება. ყველა იმ ადამიანისთვის რომელიც ჩამოსცილდება ივანიშვილის კოალიციას, ყველას წინაშე ეს პრობლემა დადგება. ქართველმა ხალხმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. კანონის ძალით გაყინა 1998 წელს სააკაშვილმა პენსიები, ის მერე სოციალური თემატიკით მოევლინა ლიდერად ქვეყანას. გაერთიანებული ოპოზიცია ვითომ დაუპირისპირდა ხელისუფლებას, სინამდვილეში ყველაფერი გააკეთა იმისთვის რომ ოპოზიციური აზრის მონოპოლიზება მოეხდინა და მხოლოდ ვიწრო წრეში გადაწყვეტილიყო სახელმწიფოებრივი საკითხები. დღეს აღარ უნდა მოვტყუვდეთ. ახლა დაიწყება ტრანსფერების პერიოდი, სხვადასხვა მიმართულებით გარკვეული ადამიანები დაიწყებენ მოძრაობებს. არ უნდა ავყვეთ აჟიოტაჟს, ისევ არ აღმოვჩნდეთ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვიყავით წლების წინ.

– ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის, ჟვანიას საქმეები, უამრავი საქმეა გამოუძიებელი. დიდია, შესაბამისად, უკმაყოფილება. ამ ადამიანებს გადაუწურეს იმედი, რომ რაიმე იქნება გამოძიებული. მაქვს ინფორმაცია, რომ ოჯახები არ გაჩერდებიან და აქციებს გამართავენ. თქვენ რას ფიქრობთ, ამ მიმართულებით რას უნდა ველოდოთ?

– საზოგადოება ამ მიმართულებითაც არასწორად მიდის, ზომიერი პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას ხელს არ ვუწყობთ. ხან ვამბობთ ვაცადოთ ხელისუფლებას, ხან უპირობოდ გადადგომისკენ მოვუწოდებთ. უნდა შეიქმნას ის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებას გაუწევს როგორც ოპონირებას, ასევე აიძულებს მას, გადადგას ყველა მიმართულებით ნაბიჯი. სამწუხაროდ, ეს არ ხდება, ურთიერთობების გარკვევის დონეზე მიდის საქმეები. ერ მოხდება ამ საქმეების გამოძიება, ის კურსი გრძელდება რომელიც სააკაშვილის დროს იყო, ძველი სისტემაა დარჩენილი, ამ თემებს თუ ამოსწევენ, მაშინ იმ ძაფის გამოძრობა უნდა დაიწყონ, რომელიც ამ სისტემას დაარღვევს. ეს კი ამათ არ სჭირდებათ. ეს სისტემა ვერ გაკეთილშობილდება. ძირეულად უნდა შეიცვალოს ეს სისტემა. ნუ ვიქნებით ცრუ ილუზიებში, თქვენ ჩამოთვალეთ გახმაურებული საქმეები, რამდენია ისეთი, რომელიც ფართო საზოგადოებამ არ იცის. თუ იმ საქმეებს მოჰკიდებენ ხელს, ამ სისტემის დაშლის წინაშე აღმოჩნდებიან. ენერგეტიკა, სპორტი ბიზნესი, პოლიტიკური ცხოვრება, პარტიები, მედია, მოერგო სააკაშვილის სისტემას, წარმმართველი პიროვნებების ჩანაცვლება მოხდა და არა ძირეული ცვლილება ამ სისტემისა. ამ დიდი დანაშაულების ჩამდენი ადამიანები დღესაც თანამდებობებზე არიან, მათ ხელს არ მოჰკიდებენ. ამათ ძალიან მიეწონათ სააკაშვილის მიერ დატოვებული სისტემა, მისი კანონებით ცხოვრობენ. ეს ყველა სფეროში იგრძნობა.

– ხშირად ისმის შეფასებები, ხომ არ ებრძოდა ახალაია კრიმინალებს სწორი მეთოდებით. თქვენ ამაზე რას იტყვით?

– მსოფლიო ცივილიზაციამ, კაცობრიობამ გამოიგონა და დაამკვიდრა ცხოვრების ისეთი მექანიზმები რომელიც სახელმწიფოსთვის არის წარმატების საფუძველი, იცავს თითოეული ადამიანის პირად უფლებებს. ისევ ვადარებთ, ახალაიას თუ დღევანდელი სისტემა. საერთაშორისო სტანდარტებია და დავამკვიდროთ ეს სტანდარტები. ამის დამკვიდრებას სჭირდება დემოკრატიული განვითარება, ღია საჯარო სივრცე, ამას სჭირდება ის ხელისუფლება რომელიც ფორსმაჟორულ ვითარებაში კი არ მოვა, სააკაშვილის ჯინაზე კი არ მოვა, არამედ პროგრამით რომელიც მხარდაჭერილია საზოგადოების მიერ, მოვა გეგმით, კონკრეტულ სფეროებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმით, ჩვენ ისევ ბოლშევიზმში ვცხოვრობთ. რა არის ჩვენთვის კარგი, ამას გვიწყვეტს ერთი ადამიანი და გვეუბნება, ეს არის კარგი და ეს – ცუდიო. ეზოში რომ იჯდე და ლუდს სვამდე, ამაზე ჯარიმებია. ეს, თურმე, კარგია. ხომ შეიძლება, ისე მოგვარდეს საკითხი, რომ ახალგაზრდებმა ლუდიც დალიონ, მაგრამ არავინ შეაწუხონ. ახალგაზრდები საკუთარ ეზოებში რომ სხედან და ერთმანეთს ესიყვარულებიან, ლუდს სვამენ, ამაში ცუდი რა არის. ჩემს ახალგაზრდობაში თბილისის ყველა ეზოში იყო მაგიდა, ფაცხა, იყო სუფრები, მეზობლების შეკრება, მჩქეფარე ცხოვრება იყო, ბავშვები სითბოში იზრდებოდნენ. სააკაშვილის მიერ მიღებული კანონით უნდა შეუვარდეთ ადამიანებს სახლებში, ჯარიმები გამოვუწეროთ. არის სწორი გზა, ზოგიერთ გერმანულ ქალაქში შუადღეზე პირველი საათიდან სამამდე ხმაური აკრძალულია როცა ბავშვებს სძინავთ. მაგრამ საღამოობით შეიძლება შეხვედრები და და გართობა. ეს ისე უნდა დარეგულირდეს, როგორც მიღებულია ცივილიზებულ სამყაროში. ან უნდა იყოს ციხეებში უმკაცრესი კონტროლი ან უნდა იყვნენ ე.წ. მაყურებლები. ისევ საბჭოთა კავშირია, აღარ გვინდა ეს საბჭოთა კავშირი.

– პროცესები მძიმეა. პოლიტიკურ კრიზისთან ერთად, მივიღებთ ეკონომიკურ კრიზისსაც. სოციალური აფეთქება შეიძლება იყოს გამოწვეული ამით, იქნებ არასაპარლამენტო ოპოზიცია შეიკრას და საპროტესტო აქციებით მოითხოვოს ხელისუფლებისგან ქმედებები. ორი წელია, არაფერი გაკეთებულა.

– გეთანხმებით, დემოკრატიის ქვაკუთხედი არის ბალანსი და წონასწორობა. დღეს ბალანსი დარღვეულია, პარლამენტი ვერ ასახავს ფართო საზოგადოების ინტერესებს. კონკურენტული გარემოც არ არის. ეს აისახება ეკონომიკაზე. ხელისუფლებას სჭირდება ბევრი სოციალური ვალდებულების გასტუმრება, ისევ მოსახლეობისგან უნდა გაისტუმროს, რაკი ეკონომიკა ვერ ვითარდება. ჯარიმები გაზარდოს, გადასახადები გაზარდოს, მძიმე სოციალური ფონი იქმნება, ეს სადმე გასკდება და მძიმე სურათს მივიღებთ. ისეთი ერთობა უნდა შექმნან პასუხისმგებლობით აღჭურვილმა ძალებმა, პრინციპებზე ჩამოყალიბებული ერთობა, არა იმიტომ, რომ ვებრძოლოთ ხელისუფლებას, არა იმიტომ, რომ გვძულდეს ხელისუფლება, არამედ იმიტომ, რომ გვიყვარდეს |ჩვენი ქვეყანა და ალტერნატიული გზა შევთავაზოთ საზოგადოებას. ჩვენთან ოპოზიციონერობა ნიშნავს ლანძღვას და არა თანამშრომლობას, თუ ამის საშუალებას ხელისუფლება გაძლევს. ისეთი ერთობა უნდა შეიქმნას, რომელიც პრინციპულად დაუპირისპირდება ხელისუფლებას, რომ ქვეყანაში რეფორმები გატარდეს.

„საზოგადოებრივ მაუწყებელს“ 25 მილიონამდე ოდენობის დავალიანება აქვს

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ გოგელიამ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დღეის მდგომარეობით დაახლოებით 25 მილიონამდე ოდენობის დავალიანება აქვს. აქედან 15 მილიონი სახელმწიფო ვალია, ამ 15 მილიონში კი 8 მილიონი არის საურავების სახით დაგროვილი დავალიანება.

არხზე მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი. გარდაქმნის პროცესს სჭირდება გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. პირველი – ეს არის სრულფასოვანი სტრატეგიის შემუშავება, სტრუქტურული რეფორმები და იმ კადრების აყვანა, რომელიც სტრატეგიას განახორციელებს“, – აცხადებს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი.

რეპორტიორი

ირაკლი ღარიბაშვილი აბუ-დაბის ტახტის მემკვიდრეს შეხვდა

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი აბუ-დაბის ტახტის მემკვიდრე შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰინს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა ალ მუშრიფის სასახლეში გაიმართა.

შეხვედრის შემდეგ, შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანმა საქართველოს დელეგაციას ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა.

ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებულ საემიროებს პრემიერ-მინისტრის და დუბაის მმართველის შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმის მიწვევით, დღეს ესტუმრა.

საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი შედიან.

ნიუსპრესი

კონფლიქტის ზონიდან რუსმა სამხედროებმა 82 წლის მამაკაცი გაიტაცეს

კონფლიქტის ზონიდან რუსმა სამხედროებმა დღეს, 82 წლის დავით ვანიშვილი გაიტაცეს. ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის ინფორმაციით, ვანიშვილი, სოფელში ვატიკანის დელეგაციის სტუმრობის შემდეგ გაუჩინარდა.

ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ე.წ. საზღვრის მიმდებარე სოფელ ხურვალეთში იმყოფებოდა.

„საგარეო საქმეთა მინისტრმა ადგილზე მავთულხლართებით გაყოფილი ტერიტორია დაათვალიერა და გამყოფი ხაზის იქით არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია სწორედ დავით ვანიშვილისგან მიიღო“ – აცხადებს ტელეკომპანია.

მედიანიუსი

შალვა ნათელაშვილი: „მაჟორიტარი დეპუტატები ბინძურ დავალებებს ასრულებენ“

შორენა გონგლაძე

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ლეიბორისტის ვიზიტი დამთავრდა. ამერიკიდან დაბრუნებულმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ვიზიტის შედეგები შეაჯამა და ჟურნალისტებს იმ რეზოლუციის ტექსტი გააცნო, რომელიც კონგრესის წევრებს შეხვედრისას პირადად გადასცა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოსაზრებით, საქართველოში მდგომარეობის რადიკალურად გამოსასწორებლად და დემოკრატიული არჩევნების მომავალში მაინც ჩასატარებლად აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა სათანადო რე-

ზოლუციის ინიცირება უნდა დაიწყონ. მისი მეშვეობით საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის რეკომენდაცია უნდა გაეწიოს. კერძოდ, განსახორციელებელი ცვლილებებით, არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ ძალას მხოლოდ ერთი კომისიის წევრი უნდა ჰყავდეს და არა ისე, როგორც ახლაა – მმართველ ძალას 13 წევრიდან 12 ეკუთვნის.

შალვა ნათელაშვილის განცხადებით, პარტიული ბლოკისთვის ბევრად მაღალი ბარიერი დაწესდეს, ვიდრე დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისთვის, რადგან, მისი თქმით, მილიარდერის გარშემო გაერთიანებულ 10 ერთკაციან, ფულზე გაყიდულ პარტიებთან ოდნავ სამართლიანი კონკურენცია შეუძლებელია. ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის არჩევნებში მონაწილეობა, ავსტრალიის მსგავსად, სავალდებულო უნდა გახდეს.

ნათელაშვილის განცხადებით, აუცილებელია, კანონში შევიდეს ნორმა, რომ საარჩევნო უბნებში ხმები მხოლოდ ვიდეოკამერების კონტროლით დაითვალონ. ლეიბორისტთა ლიდერი პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსის გაუქმებასაც ითხოვს.

– ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე კომუნიზმის სენიდან პოლიტიკურად ვერ გამოვიდა, მაჟორიტარი დეპუტატების დამსახურებაა, რომლებიც თავისი მენტალობით, უიდეობით, უპრინციპობით, უპარტიობით, ანგარებით მზად არიან, ყველას მიეყიდონ და ყველაზე ბინძური დავალებები შეასრულონ. ამიტომ საქართველოში უნდა გაუქმდეს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსი, ან ისინი უნდა გადავიდნენ ცალკე პალატაში, როგორც ეს 1995 წლიდან საქართველოს კონსტიტუციაშია ჩაწერილი, მაგრამ სხვადასხვა მოგონილი მოტივით არ სრულდება, – აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

სოსო ცისკარიშვილი: „პრეზიდენტის პრივატიზაციის პრეტენზია ნურც ერთ პოლიტიკურ ძალას ნუ ექნება!“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი **სოსო ცისკარიშვილი** აფასებს.

– არსებული ვითარება სახელმწიფოს სხვადასხვა შტოს შორის მხოლოდ ვნებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს, ასევე იწვევს გარკვეულ სარკაზმს ქვეყნის შიგნითაც. თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ ასეთი ვითარება მხოლოდ ვნებს ჩვენს სახელმწიფო განვითარებას და უპრიანი იქნებოდა, ასეთი დაპირისპირებების მიზეზების ნაცვლად განგვეხილა პერსპექტივა უფრო მშვიდი და სანდო ქმედებებისთვის, რომელიც ჩვენს მოსახლეობასაც და ხელისუფლებასაც შეაძლებინებდა, უფრო კონკრეტულნი და კონცენტრირებულნი ყოფილიყვნენ რეალური პრობლემების გადასაწყვეტად. ამჯერად სიმშვიდის განცდას ბადებს მხოლოდ ის, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი კორექტულნი არიან საკუთარ გამოთქმებში ერთმანეთის მიმართ, არ ვისმენთ არანაირ ღია დაპირისპირებას მათგან და მხოლოდ მლიქვნელთა და მაამებელთა გუნდი ცდილობს, საკუთარი პოზიციების წამოყენყელავებით დაუმტკიცოს ამა თუ იმ მხარეს საკუთარი ერთგულება. ამავე დროს, რეალობა ერთი და იგივეა დაპირისპირებული მხარეებისთვის, სტრუქტურებისთვის და, ალბათ, დადგა დრო, როგორც გახსნა ეს თემა ბატონმა ივანიშვილმა, ასევე დახუროს თვითონ ყოველგვარი გაუმართლებელი კრიტიკისა და მუქარის გარეშე.

– თუმცა დახურვის სანაცვლოდ ახალი კრიტიკა მოვისმინეთ...

– მისი ბოლო ინტერვიუ ჩვენი მოსახლეობისთვის საკმაოდ საინტერესო გახლავთ, ხოლო მთავრობის წევრთათვის – ალბათ, რაღაც ახალი ბიბლიის მსგავსი ურყევი დოკუმენტი. სათაურად ბატონი ბიძინას ვრცელ ინტერვიუს წამძღვარებული აქვს მისივე ფრაზა – გპირდებით, უფრო აქტიური ვიქნები. შესაბამისად, ახლა ჩვენი თავსატეხია, ამ ფრაზით ის გვამშვიდებს თუ გვემუქრება. ცხადია, რომ ზოგს ასე, ზოგს – ისე... მეხოტბენი უფრო მშვიდად იგრძნობენ თავს, ვგულისხმობ მთავრობასა და პარლამენტს. მლანძღველები, პოლიტიკური ოპონენტების სახით, უფრო შეშფოთებულნი იქნებიან, ხოლო კრიტიკულად განწყობილი რეალისტები როგორებიც იყვნენ, ისეთებად დარჩებიან, უშლის ეს ვინმეს ნერვებს თუ არა, რადგან მეხოტბეთა გუნდი საკმაოდ დიდია, კაჭკაჭისებური ჭიკჭიკი მათ წინამორბედი ხელისუფლებიდან მშვენივრად გადმოიღეს და არა მხოლოდ ეგ. ჩვენ მოწმენი ვართ, მსგავსად ნაციონალური მოძრაობისა, „ქართული ოცნების“ მიერაც თვითკრიტიკის ნულოვანი კოეფიციენტის. მხოლოდ მიღწევები, წარმატებები, შედეგები, ერთმანეთის შეგულიანება და ერთმანეთის ქება ვერ იქნება დამაჯერებელი საზოგადოებისთვის, რომელსაც სულ სხვა პრობლემები აქვს, ვიდრე ის, რომელ დოკუმენტზე ხელმოსაწერად ვინ რომელ ქვეყანაში გაემგზავრება.

– თავად პრეზიდენტის ახირებას რაც შეეხება? ან რამდენად იყო ეს ახირება?

– თუ ვინმესთვის მიუღებელია რომელიმე სხვა პირის ქმედება, ის იმდენ იარლიყს მიაკერებს ასეთ ადამიანს, რომ მან ვერ მოახერხოს გარკვეული დროის განმავლობაში სრულად განწმენდა ასეთი ბრალდებებისგან. ახირება ჩემთვის არ გახლავთ პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული ვალდებულება, რომელიც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში. მას არა აქვს უფლება, იყოს პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელი და, შესაბამისად, წევრი რაიმე პოლიტიკური ძალის. აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის მოლოდინი ვინმესგან იმისა, რომ რადგან ერთმა პარტიამ დაასახელა იგი და გაამარჯვებინა ასეთ ბრძოლაში, რასაც ჰქვია საპრეზიდენტო ბრძოლა, ამიტომ ის უნდა იყოს ამ პოლიტიკური გუნდის ვასალი. არამცდაარამც! კონსტიტუცია ამას არ მიანიშნებს და ვერც მიანიშნებდა ვერც ერთ სახელმწიფოში. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს ყველა მოქალაქეზე თანაბრად მზრუნველი, განურჩევლად იმისა, ვინ რომელ ეკლესიაში ლოცულობს და ვინ რომელ პარტიას ეთაყვანება. ეს რატომღაც გაუგებარი აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ლიდერებისთვის, უპირველესად ყოვლისა, ამჟამად კულისებში მყოფისთვის და, შესაბამისად, შემდგომ უკვე მთავრობისა და პარლამენტის თანამდებობის პირებისთვის, რაც, რასაკვირველია, უკეთეს შემთხვევაში, ცინიკურ ღიმილს იწვევს საზოგადოებაში.

– თქვენ იმის თქმა გინდათ, „ქართული ოცნება“ ცდილობს, მათ დაქვემდებარებაში იყოს საქართველოს პრეზიდენტი?

– რასაკვირველია. გუნდი, გუნდი, გუნდი, გაიძახიან. კი ბატონო, გუნდმა დააყენა კანდიდატურა, ხალხმა მიიღო ეს კანდიდატურა. ჩემი გუნდის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება რატომ გაქვს, როგორც სხვა გუნდების მიმართო, ამაზე საჯაროდ დაიწყო და აღარ დაამთავრო მიჯირყვნა კონსტიტუციური ვალდებულებების აღმასრულებელი პრეზიდენტის მიმართ. ეს უკვე ის სიჯიუტეა, რომელიც სცილდება ამ ტერმინის ფარგლებს.

– ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ მსხვერპლია მარგველაშვილი?

– მე მას მსხვერპლს ვერ დავარქმევ, რადგან ეს არ არის ის პიროვნება, რომელიც ცრემლებით თვალზე დაიწყებდა ტირილს – დედიკო, სახლში წამიყვანე. მას არავისზე ნაკლები სიჯიუტის ხარისხი არა აქვს და მისი მინისტრობისა და ვიცეპრემიერობის დროს ეს უნდა გაეთვალისწინებინა მის წარმდგენს ამ თანამდებობაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია პრეზიდენტი, ნურც ერთ პოლიტიკურ ძალას ნუ ექნება პრეტენზია მისი პრივატიზაციის. ეს, სამწუხაროდ, მკაფიოდ ჩანს და არა მარტო საქართველოში. რასაკვირველია, შუღლის გამოწვევა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის – ეს არის აღსრულება ნაციონალური მოძრაობის ოცნების. ამაში ვიზიარებ ივანიშვილის მოსაზრებას, რომ ნაცმოძრაობას აწყობს ასეთი არეულობა ქვეყანაში, მაგრამ ვინ არის ინიციატორი ასეთი დამოკიდებულებისა, ამას, ალბათ, თავად ივანიშვილი უნდა ასახელებდეს. საკუთარი თავიც არ გამორჩეს ასეთ ჩამონათვალში.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მისგან მოდის ეს უთანხმოება?

– ვისგან მოდის და რა ხდება კარს მიღმა, არ ვიცი, მაგრამ სატელევიზიო სივრციდან პრეზიდენტის მიჯირყვნის პირველი წარმატებული მცდელობის ავტორი გახლავთ ბატონი ივანიშვილი.

– „ქართული ოცნების“ დანარჩენმა ლიდერებმაც კარგად მოირგეს ეს როლი და, ვისაც არ ეზარება, ყველა მის კრიტიკაშია...

– იცით, რაშია საქმე? როდესაც თვალსაწიერი პოლიტიკოსის მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ძალის შიგნით იხარშება, რასაკვირველია, მას ვერ მოსთხოვ რაიმე გლობალური ცვლილებების აღქმას არა მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ, ზოგადად, მთელი პლანეტის კუთხით. არ გვაქვს ჩვენ საქმე ისე, რომ მოვუძებნოთ ახალი თემები, ჩვენს მიმართ ქილიკისა, ქვეყნის და მმართველი ძალის მიმართ ნეგატიურად განწყობილ ჯგუფებს, როგორც პოლიტიკურ, ასევე ჟურნალისტურ წრეებს ვგულისხმობ.

– ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ მარგველაშვილი სწორედ ნაციონალებმა გააგულიანეს, წააქეზეს ხელისუფლების წინააღმდეგ... რამდენად იზიარებთ თქვენ ამას?

– როგორც ჩანს, ეს არის იმ სკივრიდან, რომელსაც ჰქვია მზაკვრული ოცნება. მარგველაშვილი, როგორც პიროვნება, ასეთი აზროვნების პატრონებს თვალში შეეჩხირა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი განათლების მინისტრი გახდა. ვინც ამ ადამიანს იცნობს, მოუსმენია, წაუკითხია, უსაუბრია მასთან, ასეთი ბრალდებების გამოყენება მის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, უსინდისობაა, ხოლო ის ფაქტი, რომ იგი დღეს სხვადასხვა თემატური შეხვედრისას იწვევს ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებულ ზოგიერთ ექსპერტს და ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელ ზოგიერთ პოლიტიკოსს, ნურავის გაუკვირდება, რადგან დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები მოწმენი ვართ, რომ 2013 წელს ამ კლუბის სტუმრად სამჯერ ნამყოფი ბატონი ივანიშვილი გვთხოვდა, ამ შეხვედრებს დასწრებოდნენ ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული ექსპერტები და მის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ანალიტიკოსები. ეს ასეც ხდებოდა. მაშინ რატომღაც ზოგიერთ მინისტრს არ წამოსცდენია, რომ ივანიშვილი, ნაციონალური მოძრაობის წინაშე კეკლუცობდა. ახლა იმავეს გამკეთებელი მარგველაშვილი თურმე კეკლუცობს. ასეთი და კიდევ უარესი შეფასებებით ზოგიერთი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ფეისბუქიდან რომ ავრცელებს, ხოლო ზოგიერთს კი ავიწყდება, რომ მაღალი რანგის დიპლომატია და საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოიხსენიებენ საქართველოს პრეზიდენტს სრულიად მიუღებელი გამონათქვამებით და ვწუხვარ, რომ არ არსებობს ინსტრუმენტი, რომელიც დააყენებდა საკითხს დიპლომატიური რანგის უკვდავების მიუღებლობის შესახებ.

– ამ შემთხვევაში სწორედ ესენი ხომ არ კეკლუცობენ ივანიშვილის წინაშე?

– ამას კეკლუცობა არ ჰქვია, ამას ჰქვია მლიქვნელ-კაჭკაჭთა გუნდი და, მოხარული ვარ, რომ ეს არ არის მახასიათებელი როგორც მთლიანად ჩვენი მთავრობის, ასევე მთლიანად საპარლამენტო უმრავლესობის. საღი აზრი ყველგან არსებობს, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. ვიმეორებ, ყველაზე საიმედო წინაპირობა, კეთილი დაბოლოება ამ გაუგებრობის ჩემთვის ის გახლავთ, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს არასოდეს უკადრებიათ ერთმანეთისთვის უკადრებელი. ორი ახალგაზრდა კაცი მშვენივრად აცნობიერებს, რომ პოლიტიკურ კინკლაობაზე მაღლა უნდა იდგეს სახელმწიფო ინტერესები, ოღონდ ნუ შევუშლით ხელს! საკუთარი რჩევები შევინარჩუნოთ ჩვენთვის და ვისაუბროთ ამაზე ექსპერტულ წრეებში. მოხარული ვართ, რომ, პრაქტიკულად, ბატონმა ბიძინამ ექსპერტის ჩოხა-ახალუხი მოიზომა. მას სხვა სტატუსი არ გააჩნია, როდესაც მრავალმხრივი შეფასებებით ესაუბრება საზოგადოებას. არ არის ეს ჩემი ნოუჰაუ. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მკაფიოდ დაახასიათა სტატუსი, რომლითაც გვესაუბრება ბატონი ივანიშვილი. ჩვენი კლუბის სხდომა იყო მოწვეული სამიოდე დღის წინ, სადაც გადაწყდა, რომ ჩვენ დეტალურად შევისწავლით ახალ ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებს ბატონი ივანიშვილი და გავაკეთებთ შესაბამის განცხადებას, რასაც უკვე რეგულარული ხასიათი ექნება ხოლმე. რადგან ჩვენი, როგორც კლუბის ერთწლიანი დუმილი, არასწორად იქნა გაგებული ზოგიერთი მოხელისაგან და კოლეგისაგან, ვეცდებით, მკაფიოდ გაარჩიოს ჩვენმა საზოგადოებამ პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები, კრიტიკულად განწყობილი რეალისტები და წყლის ამმღვრევები. რასაკვირველია, მოხარული ვიქნებოდით, თუ ბატონი ბიძინა დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობის ფორმას მონახავდა.

– როგორც ყოველთვის, მედიაც გაგვიკრიტიკა ივანიშვილმა...

– ამავე დროს, როდესაც ვისმენთ კრიტიკას ბატონი ბიძინასგან ქართული მედიის მიმართ, ასეთ კრიტიკას ვუერთდები. თუმცა, რასაკვირველია, რაიმე ტიპის ინსპექტირებას, კონტროლს არ ვაპირებთ და ვისურვებდით, რომ სხვისი, მით უმეტეს კერძო საკუთრების კონტროლის ნაცვლად ბატონ ბიძინას მოეძია საკმაო რესურსი, მათ შორის ინტელექტუალურიც, რომ თავად ჩამოეყალიბებინა მედიაჰოლდინგი, აღედგინა ტელევიზია „მეცხრე არხი“, დაეფუძნებინა რადიოსადგური „მეცხრე არხი“, საინფორმაციო სააგენტო „მეცხრე არხი“ და ეჩვენებინა ის სტანდარტები, რომლებზეც ის თავად ოცნებობს და რომლითაც სურს, ქართული ჟურნალისტიკის პროფესიული დონე გაზარდოს. ეს ნამდვილად აუცილებლობად მიმაჩნია, რომ ჩვენი ჟურნალისტიკა იყოს უფრო პროფესიული და საკუთარ თავში დაჯერებული. ამის საშუალებები, სურვილის შემთხვევაში, ალბათ, გამოიძებნება და ჩვენ გვექნება საშუალება, ერთმანეთს შევადაროთ არა მხოლოდ კრიტიკული მოსაზრებები, არამედ შედეგი, რომლისთვისაც იღვწის ამა თუ იმ მედიაჰოლდინგის ან ცალკე აღებული მედიასაშუალების ესა თუ ის მეპატრონე. კრიტიკა, როგორც მოქალაქეებს, შეგვიძლია უფრო დიდი და უფრო მეტი დამაჯერებლობით გამოვხატოთ მხოლოდ იმ მაუწყებლის მიმართ, რომელიც თუნდაც თეორიულად, მაგრამ თითოეული ჩვენგანის ხარჯზე არსებობს, ვგულისხმობ საზოგადოებრივ მაუწყებელს.

– ასევე ექსპერტების მიმართ იყო სერიოზული საყვედურები...

– კი ბატონო, როგორც ჩანს, მოენატრა ჩვენთან ურთიერთობა ბატონ ბიძინას და, როდესაც ცალ-ცალკე კითხულობს ჩვენს ინტერვიუებს, ალბათ, ნაკლები სიამოვნებაა მისთვის. აქ, კლუბში, სამჯერ გვეწვია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო შეხვედრა მან დატოვა განწყობით, რომ მისი ფეხი აქ აღარ იქნებოდა, ვფიქრობთ, ერთწლიანი უყურადღებობის სასჯელი მისი მხრიდან მოვიხადეთ. მოხარული ვართ, რომ ვახსოვართ, მაგრამ მთლად არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ჩვენ გვგულისხმობდა, როცა ის საუბრობს ექსპერტთა ჯგუფზე. ექსპერტთა ჯგუფი საკუთარი გააჩნია, როგორც ჩანს, ყველა პოლიტიკურ ძალას. ასე იყო და ასე იქნება, ამიტომ ჩვენს კლუბს ჰქვია დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, ამიტომ ვეძახით ჩვენს თავს კრიტიკულად განწყობილ რეალისტებს. ვისაც აფრთხობს კრიტიკულად განწყობილი რეალისტი, მას გაუჭირდება ობიექტურობის განსხვავება სუბიექტურობისაგან.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

პუტინი – ეს არ არის ადოლფ ჰიტლერის მეორედ მოსვლა

მარიკა მჭედლიშვილი

მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო თავისი აგრესია უკრაინაში, ამ ქვეყნის პრეზიდენტს ხშირად ადარებენ ადოლფ ჰიტლერს.

ბრიტანული გაზეთი „კონვერსეიშენი“ მიიჩნევს, რომ პუტინს ბევრად მეტი საერთო აქვს ჯორჯ ბუშ-უმცროსთან, ვიდრე, ფაშისტების ბელადთან. გაზეთი საქართველოსა და უკრაინაზეც ამახვილებს ყურადღებას.

– კრიზისმა უკრაინაში მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია ვლადიმერ პუტინის მიმართ. უკრაინის მოვლენებს მოჰყვა ასევე გაზვიადებების დიდი ტალღა. კომენტატორები ძალიან შორს მიდიოდნენ თავიანთ შეფასებებში, როცა პარალელს ავლებდნენ პუტინის საგარეო პოლიტიკასა და მესამე რაიხის ჰიტლერულ ექსპანსიას შორის 1930-იან წლებში, – წერს „კონვერსეიშენი“.

ავტორი გვახსენებს, რომ ჰიტლერი ხელმძღვანელობდა მსოფლიო ბატონობის იდეით. გარდა ამისა, იგი იყენებდა სასტიკ და უკიდურეს ზომებს, რათა მოეხდინა რაც შეიძლება მეტი მიწის ანექსირება, ფიზიკურად გაენადგურებინა მილიონობით ადამიანი და ებატონა.

– პუტინი – ეს არ არის ადოლფ ჰიტლერის მეორედ მოსვლა. იგი ჯორჯ ბუში-უმცროსის რუსული ვერსიაა, – ასკვნის ბრიტანული გაზეთი.

ბუშის დოქტრინა რამდენიმე სხვადასხვა სტრატეგიის ნაწილების შეხამებაა. ისინი ერთმანეთს შეერწყა ერთ უნიკალურ საგარეო პოლიტიკურ ინტერვენციულ კოქტეილში. იგი აგრესიული და დამოუკიდებელი მოქმედებების სურვილით გაჟღენთილი იყო. ეს იყო აშშ-ს მსოფლიოზე ბატონობის იდეა.

ბუშის დოქტრინის საკვანძო დებულებები, გაზეთის აზრით, სხვა ქვეყნების საშინაო პოლიტიკაზე აქცენტის გაკეთება იყო. ბუში-უმცროსის ურყევი რწმენა დემოკრატიული სამყაროს თეორიაში მდგომარეობდა. უხეშად რომ ვთქვათ, ეს არის იდეა იმის შესახებ, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთის წინააღმდეგ არ იბრძვიან. ამ იდეამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ავღანეთსა და ერაყში რეჟიმების ძალადობრივად დამხობაში.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინი არ წავიდა ამგვარ ზომებზე უკრაინასა და საქართველოში, აშკარაა მისი შეშფოთება „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გამო.

დასავლეთი საქართველოსა და უკრაინაში მომხდარ „ფერად რევოლუციებს“ დემოკრატიის ჭეშმარიტ გამოვლინებად მიიჩნევს. პუტინი მათში დასავლეთის მთავარ ოფიციალურ მიზანს ხედავს. ეს მიზანი რუსეთის საზღვრებთან რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი რეჟიმების დასუსტება და პოსტსაბჭოთა ქვეყნების „ევროპეიზაციაა“.

პუტინისთვის თავისუფლება და დემოკრატია ქაოსსა და სეპარატიზმს ნიშნავს. და აქედან გამომდინარე, მისი საგარეო პოლიტიკა დიდი ხანია მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებში სტაბილურობის, ასევე რუსეთის მიმართ ლოიალობის მიღწევისაკენ. რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, წაახალისოს პრორუსული რეჟიმები, დაუწესოს მათ შეღავათები. მაგალითად, გაზის საფასურზე და სხვა.

პუტინი, ბრიტანული პრესის აზრით, იზიარებს ბუშის ადმინისტრაციის მისწრაფებას პრევენციული ომისაკენ. ეს აღიქმებოდა, როგორც ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის მეთოდი.

ასეთ მეთოდი, გაზეთის შეფასებით, პუტინმა საქართველოსა და უკრაინაში გამოიყენა:

– სამხედრო ავანტიურები საქართველოსა და უკრაინაში, თავისებურად, პრევენციული დარტყმაა და მიზნად ისახავს, არ დაუშვან მათი ისეთ დასავლურ ორგანიზაციებში შესვლა, როგორიც ნატოა.

პუტინს და ბუშს ცალმხრივი მოქმედებების სიყვარულშიც ადარებენ ერთმანეთს. გაზეთის სიტყვებით, როცა საერთაშორისო ნორმები და გაერო ეწინააღმდეგებოდა ბუშის გეგმებს, მან მიაღწია „კეთილი ნების კოალიციის“, ანუ საერთაშორისო კოლექტიური ძალების შექმნას. პუტინმა, საერთაშორისო აზრის საწინააღმდეგოდ, სწორედ ასე იმოქმედა, როცა ერთდროულად დაიწყო სამხედრო ინტერვენცია და გაეროში მოლაპარაკებები.

ბუშის დოქტრინის მთავარი დებულება, „კონვერსეიშენის“ თქმით, აშშ-ს ჰეგემონიის გაძლიერება და მხარდაჭერაა.

პუტინის მთავარი მიზანიც ამის მსგავსია: ხელი შეუწყოს და გააძლიეროს რუსეთის, როგორც რეგიონალური სუპერსახელმწიფოს როლი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ბუშიცა და პუტინიც ხანდახან თავს იკავებენ ომის გაჩაღებისაგან. მაგალითად, აშშ არ დაესხა თავს ირანს. არც პუტინი შეჭრილა ყირგიზეთში 2010 წელს, როცა ყირგიზეთის ახალი ხელისუფლება მას წესრიგის დამყარებაში დახმარებას სთხოვდა.

ასეთია პუტინისა და ბუშის შედარებითი დახასიათება. საკითხავი ისაა, არის თუ არა ეს ნუგეში მთლიანობა-დარღვეული საქართველოსათვის, ან ცეცხლის ალში გახვეული და დანაწევრებული უკრაინისათვის?

კალეიდოსკოპი

მოყიყინე კატა პოპულარული გახდა

ვიდეო რგოლმა, რომელზეც მოყიყინე კატაა ასახული, საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, ის იუთუბიზე 600 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მინი-ფილმი სახელწოდებით „როდესაც მე ვახველებ, ჩემი კატა ყიყინებს“ 7 ათასზე მეტმა ადამიანმა მოიწონა, ხოლო „დისლაიკი“ მხოლოდ 244 მომხმარებელმა დააყენა.

40 წამიან ვიდეოში, რომელიც მობილური ტელეფონის კამერითაა გადაღებული, ისმის, თუ როგორ ყიყინებს იხვივით კატა, იმ მომენტში, როდესაც მისი პატრონი ახველებს.

ბოლოს კი, თავისი პატრონის გაუთავებელი ხველებისგან თავმობეზრებული შინაური ცხოველი თათებს თავზე იფარებს.

ვივიენ ვესტვუდი შოტლანდიის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს

ბრიტანელმა დიზაინერმა ვივიენ ვესტვუდმა წარმოადგინა თავისი ახალი კოლექცია, რომელიც შოტლანდიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას მიეძღვნა. ჩვენებაზე მოდელები ტრადიციულ შოტლანდიურ ტანსაცმელში გამოწყობილები გამოვიდნენ, ხოლო მკერდზე გაკეთებული ჰქონდათ წარწერა „დიახ“. კოლექციის ჩვენება ლონდონის მოდის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.

სტუმრებმა თავიანთ სკამებზე აღმოაჩინეს ვესტვუდის მიერ მომზადებული ფურცლები, რომელზეც მოდელიერმა დაწერა, რომ შოტლანდიის დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის იმედი აქვს. საკუთარი სიტყვები მოდელიერმა იმით ახსნა, რომ შოტლანდიას გაცილებით დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევს, ვიდრე დიდ ბრიტანეთს.

– ვერ ვიტან ინგლისს. მე შოტლანდია მომწონს, იმიტომ, რომ ისინი ასე თუ ისე ჩვენზე უკეთესები არიან, – განაცხადა ვესტვუდმა.

ვივიენ ვესტვუდი ტრადიციულ შოტლანდიურ სამოსს თითქმის ყველა თავის კოლექციაში იყენებს. სექტემბრის დასაწყისში მოდელიერმა საგანგებო ჯილდო მიიღო შოტლანდიური ტრადიციული ქსოვილის სიყვარულისთვის.

შოტლანდიის დამოუკიდებლობისთვის რეფერენდუმი მიმდინარე წლის 18 სექტემბერს ჩატარდება. თუ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხმას შოტლანდიის გაერთიანებული სამეფოსგან გამოყოფას მისცემს ხმას, მაშინ 2016 წლის 24 მარტს შოტლანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მძღოლი, რომელმაც 21 წლის ოთო გურგენიშვილი იმსხვერპლა, დააკავეს

ოთო გურგენიშვილი

შს სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციამ დააკავა მძღოლი, რომელმაც 29 ივლისს, რუსთავში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 21 წლის ოთარ გურგენიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაკავებულს აღკვეთის ღონისძიება სავარაუდოდ ხვალ შეეფარდება. პროკურატურა დაკავებულისთვის პატიმრობის შეფარდებას ითხოვს.

„ბრალდებული გუშინ დააკავეს და დღეს ბრალი წარედგინა, ამიტომ აღკვეთის ღონიძიება ჯერ არ შეფარდებია. პროკურატურა მისთვის პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს“, – განუცხადა ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრს საოლქო პროკურატურის პროკურორმა ბელა ბერიკელაშვილმა.

შეგახსენებთ, ოთო გურგენიშვილი მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენას შეეწირა. ბავშვს რომელიც გზაზე გადადიოდა, დიდი სისწრაფით მიმავალი „მერსედესის ჯიპი“ ეჯახებოდა. ოთო გურგენიშვილმა ბავშვს ხელი ჰკრა და მანქანას აარიდა, რის შემდეგაც „ჯიპი“ მას დაეჯახა.

შს სამინისტროში აცხადებდნენ, რომ მძღოლის ვინაობა ცნობილი იყო, თუმცა მისი დაკავების საკითხს ავტო-ტექნიკური ექსპერტიზის დასრულებამდე ვერ გადაწყვეტდნენ.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს „ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“. აღნიშნული მუხლი ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრი

საქართველომ პოზიტიური შეფასება მიიღო

საქართველომ, ათასწლეულის დეკლარაციით გათვალისწინებული გლობალური მიზნების შესრულებისთვის, ჟენევის მინისტერიალზე პოზიტიური შეფასება მიიღო.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტერიალს, რომელიც გაეროს ეგიდით ჟენევაში 15-16 სექტემბერს გაიმართა, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე, ეკონომიკის სამინისტროს პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლალი ღოღობერიძე და დონორების კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელი თამარ რაზმაძე დაესწრნენ.

მინისტერიალის თემა – „2015 წლის შემდგომი მსოფლიოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულების მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების მექანიზმები“ იყო.

მინისტერიალის მონაწილეებმა მდგრადი განვითარების ახალი, 2015 წლის დღის წესრიგის შესახებ იმსჯელეს, რომლის შემუშავებაზეც, გაეროს წევრი სახელმწიფოები მუშაობენ.

საქართველოს მთავრობის დელეგაციამ, ათასწლეულის განვითარების გლობალური მიზნების შემუშავების პროცესში, ასევე გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, რომელთა დანერგვა არა მხოლოდ მსოფლიოში, არამედ საქართველოშიც, გლობალური მიზნების წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს.

„საქართველომ პოზიტიური შეფასება მიიღო ათასწლეულის 2000 წლის დეკლარაციით გათვალისწინებული გლობალური მიზნების შესრულებაში, როგორებიცაა – პროგრესი სიღარიბის დაძლევის მიმართულებით, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ. 2015 წლისთვის ათასწლეულის განვითარების გლობალური მიზნები 8-დან 17-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მინისტერიალის მონაწილეებმა ქართული მხარის შეთავაზებები გაითვალისწინეს. მდგრადი განვითარების მიზნები საერთაშორისო საზოგადოების წევრი ყველა ქვეყნისთვის და მათ შორის, საქართველოსთვის ახალი გზამკვლევი გახდება“, – განაცხადა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძემ.

ათასწლეულის განვითარების მიზნების შესახებ საქართველოს ეროვნული ანგარიშის პრეზენტაცია თბილისში 19 სექტემბერს გაიმართება.

ანგარიში სიღარიბის დაძლევის, განათლების სისტემის განვითარების, გენდერული თანასწორობის გაზრდის, დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების, აივ-ინფექციის და სხვა დაავადებებთან ბრძოლისა და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხებში, საქართველოს პროგრესს ასახავს.

ნიუსპრესი

საქართველოს ელჩი ბრაზილიაში სამუშაო ვიზიტით კოლუმბიის რესპუბლიკას ეწვია

ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ოთარ ბერძენიშვილი, სამუშაო ვიზიტით კოლუმბიის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესა და ევროპის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. ასევე, გაიმართა შეხვედრები ეროვნულ კონგრესში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, სავაჭრო პალატასა და ოქროს მუზეუმში. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დიპლომატიურ აკადემიაში ლექცია სახელწოდებით – „საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე“ წაიკითხა, რომელზეც ელჩმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასა და იმ პერსპექტივებზე ისაუბრა, რასაც აღნიშნული ხელშეკრულება ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, საქართველოს უხსნის. აკადემიის სტუდენტებთან ერთად, ლექციას ასევე, კოლუმბიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც დაესწრნენ.

ნიუსპრესი

განცხადებები

● იყიდება 65 კვ.მ. ფართის 2-ოთახიანი ბინა ვაჟა ფშაველას ძეგლთან, მეტროსთან ახლოს პრესტიჟულ უბანში, რკინის კარით, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით, კარმით, წყლის გამაცხელებლით, ზ/ზ კონდიციონერით, შესაძლებელია დარჩეს ავეჯის ნაწილი. საწყისი ფასი 56 ათასი დოლარი. ტელეფონი: 2 18 94 99, 5 99 375883.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

ფიზიკური აღზრდის კოლეჯი ფუნქციონირებას იწყებს

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი აბიტურიენტთა მიღებას აცხადებს. კოლეჯში მიიღებიან როგორც საშუალო, ისე საბაზო განათლების მქონე პირები.

საბუთების მიღებასთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორის – თემურ ღორთქიფანიძის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის – აკაკი ლოდიას პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებთან და მოწვულ სტუმრებთან შეხვედრას დაესწრნენ ტიტულოვანი მოჭიდაველები, რომან რურუა, გურამ საღარაძე, მიხეილ სალაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე და სხვები.

კოლეჯში სტუდენტები 3 სპეციალობას შეისწავლიან, ესენია – მწვრთნელი, სამკურნალო მასაჟი და სამთო გამყოლი. გაზაფხულიდან იგეგმება კიდევ 3 სპეციალობის დამატება – კორესპონდენტ-ფოტოგრაფი, ადაპტური ფიზიკური აღზრდა და სპორტი და მაშველი.

საბუთების მიღების შემდეგ ჩატარდება გამოცდები, ფიზიკურ მომზადებასა და ზოგად უნარებში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წინამორბედი ფიზკულტურის ტექნიკუმი დაარსდა 1933 წელს.

კოლეჯი გახლდათ პირველი სპორტული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ქართული სპორტის აღორძინებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის კურსდამთავრებულები არიან ისეთი სახელოვანი სპორტსმენები, როგორებიც არიან მოჭიდაველები – გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე, გოგი სხირტლაძე, ვახტანგ ბლაგიძე, მუხრან ვახტანგაძე. ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი, მოცურავე ბორის ნიკიტინი, მაგიდის ჩოგბურთელი სარქის სარხოიანი, ფეხბურთელები – ბორის სიჭინავა, ნოდარ ლეჟავა, გოჩა გავაშელი, ასევე ამჟამად ძიუდოში მოქმედი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ვარლამ ლიპარტელიანი.

2009 წელს კოლეჯი დაიხურა და ბაზები გაიყიდა, მაგრამ 2014 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და პარლამენტის შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის თაოსნობითა და ძალისხმევით, კოლეჯის ფუნქციონირება აღდგა.

ამჟამად, კოლეჯი გახსნილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში, მე-3 სართულზე. კოლეჯი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით.

ნუ შევაგინებთ მსაჯებს!

სარაგბო კლუბ რუსთავის „ხარების“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ გულშემატკივარს თხოვნით მიმართა, რომ ნუ შეაგინებენ მსაჯებს, რადგან ეს მათი მხრიდან გუნდის მისამართით აგრესიას იწვევს, რის გამოც მორაგბეები ზარალდებიან.

ცნობისთვის, წინა ტურში, „ხარებისა“ და „ბათუმის“ დაპირისპირების დროს, ზვიად ესართიამ მსაჯს შეაგინა. რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა მორაგბეს ათკვირიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ჯერ კიდევ გასარკვევია, მიეცემა თუ არა რუსთავის სტადიონს დისკვალიფიკაცია, აღნიშნული საკითხი გამგეობის სხდომაზე უნდა გადაწყდეს.

ლევან მგელაძე:

– ოთხი ტურის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატში ლიდერებს შორის ვართ და მეორე ადგილს ვიკავებთ, რაც ბიჭების მონდომების შედეგია. გულშემატკივარს ვთხოვ, კიდევ უფრო ფრთხილად მოიქცეს მსაჯებთან მიმართებაში, რადგან შეიძლება დისკვალიფიკაცია მისცენ სტადიონს, არ მინდა ისე მოხდეს, რომ აქ თამაში აგვეკრძალოს და ამით ჩვენ დიდი მხარდაჭერა, რუსთაველებმა კი რაგბი დაკარგონ. სტადიონზე სიტუაციის დარეგულირებაში ყველა უნდა ჩაერთოს. ვიცი, რომ სტადიონის დირექციამ პოლიციის სამმართველოს ოფიციალური წერილი მიმართა, მაგრამ სტადიონზე არავინ მოავლინეს. ჩვენ აქ საერთაშორისო ტურნირების გამართვას ვგეგმავთ, რუსულ „ენისეის“ ჩამოსვლის სურვილი აქვს და ხომ წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება მოხდეს სტადიონზე სამართალდამცავები თუ არ იქნებიან... საქართველოს ჩემპიონატში მომავალში უფრო დაძაბული თამაშები გვექნება და იმედია, ტრიბუნებზე სიტუაციის მოწესრიგებაში ქალაქი დაგვეხმარება. გულშემატკივრებს მოვუწოდებ, რომ პატივი სცენ რაგბის დაუწერელ კანონებს და ისე მოიქცნენ ტრიბუნებზე, როგორც რაგბის შეეფერება. თავი შეიკავეთ გინებისგან, შეცდომები კი, მსაჯების სინდისზე იყოს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲰᲘᲛᲘᲔᲩᲘᲠᲘᲒᲐ

ჰალი-ვესტ ჰემი 2:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ჩელსი	4	4	0	0	15-6	12
2.ასტონ ვილა	4	3	1	0	4-1	10
3.სუონსი	4	3	0	1	8-5	9
4.საუთჰემპტონი	4	2	1	1	8-3	7
5.სიტი	4	2	1	1	7-4	7
6.ტოტენჰემი	4	2	1	1	7-5	7
7.არსენალი	4	1	3	0	7-6	6
8.ლივერპული	4	2	0	2	6-5	6
9.მანჩესტერი	4	1	2	1	6-3	5
10.ჰალი	4	1	2	1	5-5	5
11.ევერტონი	4	1	2	1	9-10	5
12.ლესტერი	4	1	2	1	4-5	5
13.ვესტ ჰემი	4	1	1	2	6-7	4
14.სტოკი	4	1	1	2	2-3	4
15.სანდერლენდი	4	0	3	1	5-6	3
16.ქპრ	4	1	0	3	1-9	3
17.კრ.პალასი	4	0	2	2	5-8	2
18.ბარნლი	4	0	2	2	1-4	2
19.ვესტ ბრომვიჩი	4	0	2	2	2-7	2
20.ნიუკასლი	4	0	2	2	3-9	2

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲰᲘᲛᲘᲔᲩᲘᲠᲘᲒᲐ

ეიბარი-დეპორტივო 0:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბარსელონა	3	3	0	0	6-0	9
2.ვალენსია	3	2	1	0	7-2	7
3.სევილია	3	2	1	0	5-2	7
4.ატლეტიკო	3	2	1	0	4-2	7
5.სელტა	3	1	2	0	6-4	5
6.გრანადა	3	1	2	0	3-2	5
7.სოსიედადი	3	1	1	1	6-5	4
8.ვილიარეალი	3	1	1	1	2-1	4
9.დეპორტივო	3	1	1	1	4-4	4
10.ელჩე	3	1	1	1	4-6	4
11.მალაგა	3	1	1	1	1-3	4
12.ბილბაო	3	1	0	2	3-3	3
13.ეიბარი	3	1	0	2	2-3	3
14.რეალი	3	1	0	2	5-6	3
15.ხეტაფე	3	1	0	2	2-5	3
16.რაიო	3	0	2	1	4-5	2
17.ალმერია	3	0	2	1	2-3	2
18.კორდობა	3	0	2	1	2-4	2
19.ესპანიოლი	3	0	1	2	3-6	1
20.ლევანტე	3	0	1	2	0-5	1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ვერონა-პალერმო 2:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.მილანი	2	2	0	0	8-5	6
2.იუვენტუსი	2	2	0	0	3-0	6
3.რომა	2	2	0	0	3-0	6
4.ინტერი	2	1	1	0	7-0	4
5.სამპდორია	2	1	1	0	3-1	4
6.ატალანტა	2	1	1	0	2-1	4
7.ვერონა	2	1	1	0	2-1	4
8.ლაციო	2	1	0	1	4-3	3
9.ნაპოლი	2	1	0	1	2-2	3
10.უდინეზე	2	1	0	1	2-2	3
11.კიევო	2	1	0	1	1-1	3
12.ჩეზენა	2	1	0	1	1-3	3
13.პალერმო	2	0	1	1	2-3	1
14.კალიარი	2	0	1	1	2-3	1
15.ჯენოა	2	0	1	1	1-2	1
16.ფიორენტინა	2	0	1	1	0-2	1
17.ტორინო	2	0	1	1	0-2	1
18.სასუოლო	2	0	1	1	1-8	1
19.პარმა	2	0	0	2	4-6	0
20.ემპოლი	2	0	0	2	0-3	0

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

ლივორნო-ლატინა 1:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲔᲡᲚᲘ�გᲐ

ნიურნბერგი-ფორტუნა 0:2

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲛᲔ-2 ᲚᲘ�გᲐ

ტრუა-ოსერი 1:2

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲰᲘᲛᲘᲔᲩᲘᲠᲘᲒᲐ

ამკარი-ურალი 2:1

ტერეკი-ყუბანი 0:0

ᲡᲐᲑᲭᲘᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ერგოტელისი-პლატანიასი 0:3

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

აკჰისარი-სივასი 2:2

ბეშიქთაში-რიზე 1:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. ᲡᲘᲜᲝᲢ ᲚᲘ�გᲐ

ლიბერეცი-პლზენი 1:1

ᲰᲝᲚᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡᲘᲐ

კორონა-პოდბესკიჟე 2:1

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

სონდერიისკე-ჰობრო 1:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ. ᲐᲚᲡᲕᲔᲜᲡᲘᲐ

ნორჩიოპინგი-ბრომაპოიკარნა 3:1

იორებრო-კალმარი 2:0

ჰელსინბორგი-აიკი 3:1

ᲐᲩᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ. ᲰᲘᲛᲘᲔᲩᲘᲠᲘᲒᲐ

ოლდ ბოიზი-ოლიმპო 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ

საფეხბურთო სამყაროში ძალიან ბევრ რამეს წყვეტენ აგენტები, რომლებსაც ბევრი და სერიოზული ტრანსფერების გადაწყვეტა უხდებათ. მათი შემოსავალიც სწორედ ტრანსფერებზეა დამოკიდებული. ეს თანხა კი მცირე არ არის – გარიგების 10 პროცენტი.

ერთ-ერთი ასეთი მათგანი ჟორჟე მენდეშია – აგენტი, რომელზეც ფერგიუსონი და მოურინიო დებენ ფსონებს..

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს ჟორჟე მენდეშმა დაახლოებით 30 მილიონი გირვანქა სტერლინგის გამომუშავება შეძლო. მან ხამეს როდრიგესის, ანხელ დი მარიასა და რადამელ ფალკაოს გაყიდვით ძალიან მოითბო ხელი.

მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი ასე აფასებს მსოფლიოს ყველაზე გავლენიან აგენტს:

– ჟორჟე მენდეში საუკეთესოა აგენტებს შორის, ვისთანაც მუშაობამ მომიწია. ის როგორც ფეხბურთელებზე, ასევე კლუბებზეა პასუხისმგებელი.

რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი უნდა იყო, როდესაც საუბარი მილიარდებზეა. მხოლოდ ამ ზაფხულს მენდეშმა 230 მილიონი გირვანქის გარიგება განახორციელა.

48 წლის პორტუგალიელი არა მარტო „ბატონი ათპროცენტიანია“, ეს არის ადამიანი, რომელიც ფეხბურთელებს მართავს.

ფერგიუსონის ნდობამ მას საშუალება მისცა სიმაღლეები დაეპყრო.

2003 წელს კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედში“ ტრანსფერმა ფერგიუსონის თვალში მენდეში სანდო და წონიანი გახადა. სერ ალექსმა მისივე დახმარებით რამდენიმე ტრანსფერი კიდევ განახორციელა. „წითელ ეშმაკებში“ ჟორჟეს წყალობით ბებე, ანდერსონი და ნანი 40 მილიონ გირვანქად მოხვდნენ.

იმ ფეხბურთელების სია, რომელიც მოურინიომ მის კლუბებში მენდეშის წყალობით მიიყვანა, საკმაოდ გრძელია. უკანასკნელ ტრანსფერზე მოგახსენებთ – დიეგო კოშტა ლონდონელებმა „ატლეტიკოსგან“ 32 მილიონად შეიძინეს.

„მონაკომ“ პორტუგალიელი აგენტის წყალობით 48 მილიონის გამომუშავება შეძლო. მხოლოდ ერთი ფეხბურთელით – რადამელ ფალკაოთი.

გარდა ფალკაოსი, ჟორჟემ კლუბში 40 მილიონად ხამეს როდრიგესი მიიყვანა. ამ ზაფხულს კი კოლუმბიელი 65 მილიონ გირვანქად „რეალში“ გაყიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოურინიო უკვე რამდენიმე სეზონია „რეალს“ აღარ თავკაცობს, ჟორჟეს „სამეფო კლუბში“ გავლენა არ დაუკარგავს. ის კლუბში კოენტრაუს, პეპეს, როდრიგესის და რონალდუს ინტერესებს იცავს.

ჟორჟემ კრიშტიანუ რონალდუზე უფლებები ჯერ კიდევ მაშინ მოიპოვა, როდესაც ფეხბურთელი 17 წლის იყო. ფეხბურთელის ჯერ „მანჩესტერში“, შემდეგ „რეალში“ მისი ტრანსფერით აგენტმა 5 მილიონი ევრო გამოიმუშავა.

რონალდუ ახლა 29 წლისაა და „თეთრებთან“ ჯერ კიდევ 4-წლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. კრიშტიანუს არაერთხელ უთქვამს, რომ „რეალში“ ბედნიერია, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ „იუნაიტედში“ დაბრუნდება.

გარდა „იუნაიტედისა“, პორტუგალიელი „სიტისთანაც“ თანამშრომლობს. ამ ზაფხულს „სიტიმ“ მენდეშის წყალობით მანგალა 32 მილიონ გირვანქად დაიმატა, მაგრამ რამდენი ჩაიდო ჯიბეში ამ გარიგებით აგენტმა, უცნობია.

რამდენი აქვს ანაზღაურება აგენტს? არავისთვისაა ცნობილი.

ზაფხულის წარმატებული სატრანსფერო ფანჯრის შემდეგ, ჟორჟეს უკვე ზამთრისთვის რამდენიმე ვარიანტი აქვს დაგეგმილი.

როგორც მოსალოდნელია, ზამთრის ერთ-ერთი გარიგება „სპორტინგიდან“ უილიამ კარვალიოს ტრანსფერი იქნება.

ფეხბურთელს უკვე „არსენალსა“ და „იუნაიტედს“ უკავშირებენ. თუ სად გადავა იგი, ამას პორტუგალიელი აგენტი გადაწყვეტს.

ერთი ხანობა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და აგენტს შორის ცოტა ხნით თანამშრომლობა შეწყდა და კლუბშიც კრიზისი დაიწყო. ახლა კი კვლავ მოუბმეს მენდეშს. ჟორჟემ პირველ რიგში ანხელ დი მარია გადაიყვანა „ოლდ ტრაფორდზე“ სათამაშოდ, შემდეგ ეფექტური სვლა გააკეთა, როდესაც „მონაკოდან“ „წითელ ეშმაკებში“ რადამელ ფალკაო 1-წლიანი იჯარით აიყვანა.

ფალკაომ თავისი მანჩესტერული კარიერის გაგრძელება სწორედ მენდეშს მიუძღვნა და „ტვიტერზე“ დაწერა, რომ არის ადამიანი, ვისაც ეს საქმე „გამოუვიდა“.

ეს არც ლუი ვან გაალი იყო და არც „მონაკოს“ წარმომადგენლები – ეს ჟორჟე მენდეში იყო.

ადამიანი, რომელიც ფეხბურთს მართავს.

ᲛᲝᲬᲣᲬᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲔᲤᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ

უეფას ვებგვერდმა იმ თანხების რაოდენობა გამოაქვეყნა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგაში მიღწეული შედეგების მიხედვით კლუბებს ჩაერიცხება. იქ ქართული გუნდებიც მონაწილეობენ და უეფას ეს განცხადება მინიმუმ იმის საშუალებას მაინც მოგვცემს, რა თანხებს იღებენ ქართული კლუბები ევროპული ფეხბურთის მთავარი ორგანიზაციიდან.

ეს არც ჟურნალისტური გამოძიებაა და არც დიდი ინტრიგა, მაგრამ როდესაც ევროტურნირების დროს კლუბები წუწუნებენ ფული არ გვაქვსო, ვნახოთ, წარმატების მიღების შემთხვევაში ვის რამდენის გამომუშავება შეუძლია.

მაშ ასე: ეროვნული ჩემპიონატის ყველა გამარჯვებული 200.000 ევროს მიიღებს.

ის გუნდები, რომლებიც ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასების გათამაშებას პირველივე ეტაპზე გამოეთიშნენ, 150.000 ევრო დაერიცხებათ ანგარიშზე.

მეორე ეტაპიდან გავარდნილი გუნდები 175.000 ევროს, ხოლო მესამე – 200.000 მიიღებს.

ის კლუბები, რომლებიც პლეიოფში მოხვდნენ 2.1 მილიონი ევროთი შეივსებენ ბიუჯეტს.

ის 32 გუნდი, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, 8.6000.000 ევროთი „გამდიდრდება“.

ჯგუფურ ეტაპზე კი, ყოველი მოგებული შეხვედრა 1 მილიონ ევროს უდრის, ფრედ დასრულებული შეხვედრა – ნახევარ მილიონს.

მერვედფინალურ ეტაპზე გამსვლელი გუნდები დამატებით 3.500.000 მილიონს მიიღებენ, ხოლო მეოთხედფინალისტები 3.900.000 ევროთი დაჯილდოვდებიან. ნახევარფინალისტები – 4.900.000, ხოლო ფინალისტები 6.500.000 ევროთი შეივსებენ ანგარიშს.

როგორც მოგეხსენებათ, თბილისი „დინამო“ ჩემპიონთა ლიგას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოეთიშა, ამ მონაცემების მიხედვით კი, საქართველოს ჩემპიონი 325.000 ევროთი გამდიდრდება.

რაც შეეხება ევროპის ლიგის გათამაშებას: პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გავარდნილი გუნდი 120.000 ევროს მიიღებს, მეორე ეტაპზე კიდევ 130.000-ს, მესამე ეტაპი – 1400.000, ხოლო პლეი-ოფში მოხვედრილი გუნდები დამატებით 150.000 ათას ევროს.

პლუს, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილი თითოეული გუნდი 1.300.000 მილიონს მიიღებს. ჯგუფში მოგებული შეხვედრა 200.000 ღირს, ფრე – 100.000.

მეთექვსმეტედფინალისტები 200.000 ევროთი გამდიდრდებიან, მერვედფინალისტები – 350.000, მეოთხედფინალში – 450.000, ნახევარფინალში მილიონი ევროთი გამდიდრდება, ევროპის ლიგის გამარჯვებული 5.000.000 ევროს დაეუფლება, ხოლო ფინალისტი მის ნახევარს.

ჯგუფური ეტაპის 48 გუნდიდან თითოეული 130.000-1.30000 ევროთი დასაჩუქრდება. ჯგუფის გამარჯვებული 400.000 ევროთი გამდიდრდება, მეორეადგილოსანი – 200.000-ით.

უეფას ამ მონაცემებით ქართული კლუბებიც მიღებენ შესაბამის თანხებს. საჩხერის „ჩიხურა“, რომელიც ევროპის ლიგას მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოეთიშა, 390.000 ევროს მიიღებს, „ზესტაფონი“ 250.000 ევროთი შეივსებს ბიუჯეტს, ხოლო ბოლნისის „სიონი“ 120.000 ევროს დასჯერდება, რადგან პირველი ეტაპიდან გამოეთიშა გათამაშებას.

ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ, ᲛᲐᲠᲙᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲪᲡᲙᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი შერმადინი, რომელმაც გასული ევროშესარჩევი ეტაპი ტრავმის შემდგომი რეაბილიტაციის გამო გამოტოვა, ესპანური „სარაგოსას“ დაუბრუნდა. ქართველი ცენტრი გასული სეზონის პირველ ნახევარში თამაშობდა არაგონულ კლუბში, თუმცა გაზაფხულზე ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ გადავიდა.

შერმადინი ვიქტორ სანიკიძესთან ერთად საკმაოდ მძლავრ ტანდემს ქმნიდა სარაგოსელთა ხუთეულში. ახლა კი გიორგი ერთადერთი ქართველი იქნება არაგონულ კლუბში, რადგან სანიკიძე რუსულ „უნიკსში“ გადავიდა. შერმადინი „სარაგოსაში საშუალოდ 12.9 ქულას და 5.9 მოხსნას აგროვებდა.

შერმადინმა „სარაგოსასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. არაგონული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, ხოაკინ რუისმა ქართველი კალათბურთელის შესახებ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს გიო ჩვენი კლუბიდან არც წასულა. როგორც საკლუბო პერსონალს, ასევე გუნდის გულშემატკივრებს მისი შემატება ძალიან გაუხარდებათ. იგი ნამ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

პაკო ალკარესი: „დებიუტით ბედნიერი ვარ“

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა – პაკო ალკარესი. მან პირველად საფრანგეთთან წაგებულ ამხანაგურ მატჩში ითამაშა, რასაც ოფიციალური დებიუტი მაკედონიასთან და გოლი მოჰყვა. პაკო „ვალენსიას“ აღზრდილია.

პაკო ალკარესი:

– ბედნიერი ვარ დებიუტით და თამაშით. უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდი – გამარჯვება და გოლი. როდესაც ფორვარდს ნაკრებში იძახებენ, ყველა გოლს ელის მისგან. იმედი მაქვს, ეს მხოლოდ დასაწყისია.

– სადებიუტო გოლი პირველმა ვინ მოგილოცათ?

– დედამ და ძმამ. მე კი იმ მაისურს, რომლითაც პირველი გოლი გავიტანე ნაკრებში, სამუდამოდ შევინახავ.

– რა ხდება „ვალენსიასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე?

– კლუბს ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივების სურვილი აქვს და ამით მოხარული ვარ. მინდა „მესტალიაზე“ დიდი ხნის განმავლობაში დავრჩე. კლუბს ყველაფრისთვის მადლობას ვუხდი. ყველასგან დიდ სიყვარულს ვგრძნობ და კონტრაქტის გახანგრძლივებაც მალე მინდა.

– რას იტყვით ალვარო ნეგრედოზე?

– მის შესახებ ყველამ კარგად ვიცით ესპანეთის ნაკრებიდან და „სიტიდან“. ის ტოპ-კლასის ფორვარდია და ძალიან გაგვაძლიერებს.

– შესაძლოა, რომ თქვენ, როდრიგო და ნეგრედო ერთად იყოთ სასტარტოში?

– რატომაც არა? ჩვენ სამი სხვადასხვა ტიპის ფორვარდი ვართ და ვფიქრობ, ერთად თამაშით მეტოქეს დიდ ზიანს მივაყენებთ. ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

– რა გითხრათ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დელ ბოსკემ?

– მან გოლი და დებიუტი მომილოცა, თუმცა ბევრი არაფერი უთქვამს.

– როგორ ფიქრობთ, „ვალენსიადან“ ნაკრებში უფრო მეტი ფეხბურთელი უნდა იყოს?

– „ვალენსია“ ტოპდონეზეა და ესპანეთის ნაკრებში ამ გუნდის მეტი ფეხბურთელი ნამდვილად უნდა იყოს. ისინი საამისოდ მზად არიან.

– რას იტყვით ნაკრების კიდევ ერთ ახალწვეულ მუნირზე?

– შესანიშნავი ფეხბურთელია. ის ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა, რაც ძალიან კარგი თვისებაა. დარწმუნებული ვარ, მუნირს დიდი მომავალი აქვს და ნაკრების კარი მისთვის ღია იქნება.

შერმადინი ესპანეთში დაბრუნდა, მარკოიშვილმა ცსკაში პირველად ითამაშა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

დვილი პროფესიონალია და სრულიად ჯანმრთელი დაგვიბრუნდა. შერმადინს ევროპაში თამაშის დიდი გამოცდილება გააჩნია და წესით, დიდი სარგებელი უნდა მოგვიტანოს.

„სარაგოსამ“ უკვე 4 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო. არაგონელებმა „უესკას“ 88:55 სძლიეს, „ლაბორალს“ – 64:63, „ესტუდიანტესს“ – 82:74 და „მურსიას“ 86:76. არაგონელებს მომდევნო მატჩი 19 სექტემბერს „ბრუისასთან“ ელით და შესაძლოა, ამ თამაშში მონაწილეობა შერმადინმაც მიიღოს. 21 სექტემბერს „სარაგოსა“ „ვალენსიას“ ეთამაშება, 25-ში – რუსულ „ხიმკის“, ხოლო 1 ოქტომბერს – „რეალს“. უშუალოდ ესპანეთის ჩემპიონატი სტარტს 5 ოქტომბერს აიღებს და შერმადინის კლუბი „ხუვენტუტს“ უმასპინძლებს.

მოსკოვის ცსკა-ში პირველი მატჩი გამართა საქართველოს ნაკრების წევრმა, მანუჩარ მარკოიშვილმა. არმიელთა გუნდი შეკრებას საბერძნეთში გადის და სპარინგ მატჩიც იქ, ქალაქ კარპენისში გამართეს „აპოლონ პატრასთან“.

რუსულმა კლუბმა დაძაბულ ბრძოლაში, 67:62 იმარჯვეს, რაშიც საკუთარი წვლილი ქართველმა უკანახაზელმაც შეიტანა. მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე არცთუ მცირე ხანი – 18:36 წუთი დაჰყო. მასზე ორიოდე წუთით მეტი მოსკოველთაგან სონი ვინსმა და აარონ ჯეკსონმა ითამაშეს.

მარკოიშვილმა 3-დან 1 სამქულიანი და 1-დან 1 ორიანი ჩააგდო. მოგროვებულ 5 ქულას მანუჩარმა 3 პასი და 1 მოხსნა მოაყოლა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. მოსკოველთაგან ყველაზე მეტი – 3-3 პასი მარკოიშვილს და ჯეკსონს დაუგროვდათ.

მატჩის შემდეგ ცსკა-ს მთავარმა მწვრთნელმა, დიმიტრის იტუდისმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ჩვენი პირველი მატჩი იყო და ცხადია, გუნდის მდგომარეობის შემოწმება გვსურდა. საბერძნეთში უკვე ერთი კვირაა ვემზადებით და ის დავინახე, რასაც ველოდით. დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით და ბევრი იოლი ტყორცნაც ავაცილეთ. რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა და იმედია, მათი დაბრუნების შემდეგ, ყველაფერი გამოსწორდება.

რას მოუტანს ქართველ კალათბურთელს ტრავმირებული ფეხბურთელების დაბრუნება და რამდენი დრო მიეცემა სათამაშოდ, ამას ჩემპიონატისა და ევროტურნირების დაწყების შემდეგ შევიტყობთ.

საქართველოს გელაშვილთა საზოგადოება „გელათი“, მისი მართვის საბჭო და პრეზიდიუმი ვულოცავთ ჩვენი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს,

ბატონ ავთანდილ (თენგიზ) ბელაშვილს

საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკის წოდების მინიჭებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

თამრიკო ჭოხონელიძე სკანდალში გაეხვია

ეკა ირემაშვილი

მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე სკანდალში გაეხვია. პარაფსიქოლოგი ირაკლი ლომაია მას კუთვნილი 600 ლარის მოტეხაში ადანაშაულებს. ირაკლი ლომაია წლებია, საქართველოდან წასულია და მან ეს ამბავი სოციალურ ქსელში გაასაჯაროვა. ამის მიზეზი კი თამრიკო ჭოხონელიძის მიერ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემული ინტერვიუ გახდა, სადაც მომღერალმა განაცხადა:

„ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულან და ერთმანეთს ჭამენ... ტელევიზორის ყურება აღარ მინდა, მერიდება იმ ადამიანებისთვის თვალებში ჩახედვა, ვინც ჩვენთან ერთად მრავალათასიან მიტინგებზე საათობით იდგა იმის იმედით, რომ ყველაფერი უმოკლეს დროში შეიცვლებოდა... გულწრფელად გითხრათ, ბოლო დროს ხშირად მომსვლია თავში აზრად, ნეტა ამ ქვეყნიდან წამიყვანა და უკან აღარ მომახედა-მეთქი. დიახ, აღარ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ფეხმძიმე ქალებს თელავენ, სადაც პროფესიონალიზმსა და ღირსებაზე მეტად მლიქვნელობა ფასობს...“

თამრიკო ჭოხონელიძის ამ განცხადებას პარაფსიქოლოგი ირაკლი ლომაია სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და მომღერალს მოუწოდა, თავის სოროში დატეულიყო:

„ძალიანაც კარგი, ისიც საქმეა, რომ გყოფნით იმის გამბედაობა და თავად აღიარებთ, რომ მწარედ შეცდით. მახსოვს, თავკუდგამოდებული იცავდით ოცნებას. ახლა რა შეიცვალა? ეგ არაფერი, წინ უფრო ბევრს ინანებთ. ამ ბოლო დროს გულიანად ვიცინი ხოლმე ყველა იმ ადამიანებზე, ვინც გამწარებული იცავდით ოცნებას კბილებით, ახლა კი ნელ-ნელა დედითქვენის მუცლებში შეძვერით, უფრო სწორად, გსურთ შეძრომა, მაგრამ, იმდენად გასივდით, უკან ვეღარ ეტევით. თქვენ კი, ქალბატონო ჭოხონელიძე, მთელი ცხოვრების განმავლობაში რაღაც ერთი სიმღერა იმღერეთ და მაგას ზედ ნუ გადაგვაყოლებთ, თქვენივე არტისტიზმი თუ ნიჭია, პოლიტიკაში ნუ აურევთ და დაეტიეთ რა თქვენს სოროში. იმღერეთ, თუ გემღერებათ, ან იცეკვეთ... არ გაგვიწყალეთ საქმე? ახლა კი სირცხვილი გვიანია, სანამ პირს გააღებდით, იქამდე უნდა გეფიქრათ ამაზე... მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან იმარხება. ძალიან კარგად გიცნობთ და ვიცი თქვენი ნათესაური კავშირი ივანიშვილთან. თქვენ ხომ ბერას ნათლია ხართ, ხო და ეს ნათლობა უღირსად შეფასებული გამოდგა, სათანადო ყურადღება არ მოგაქციეს, გეგონათ, თუ ულტრამილიონერს შვილს მოუნათლავდით, თან გადმოგყვებოდათ, მაგრამ ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში, ახლა კი, როცა მიხვდით ამას, უცებ გახდა ოცნება ისევ ცუდი, არა? ჰაი დედა, არა და მაშინ როცა გაჰყვიროდით ოცნება, ოცნებაო, არც მაშინ იყავით გულწრფელი და მხოლოდ ანგარება გამოძრავებდათ, ხო და რაც მოგივათ ახია თქვენზე... ამ წერილს კი საჯაროდ გიგზავნი და თუ ჩემი სიმართლე გულზე მოგხვდებათ, ცივი წყალი დალიეთ. ხო კიდევ ამ გახსენებაზე იქნებ იმაზე პასუხი გამცეთ შენ და კვალიაშვილმა, ჩემი წიგნის პრეზენტაციის დროს რომელმა მოტეხეთ ჩემი გადახდილი 600 ლარი, შენ თუ კვალიაშვილმა? რა ვიცი, როგორც კვალიაშვილმა ბრძანა, თურმე გადაგიხადათ და გადაგვაგდეთ... აი, ასეთები ხართ თქვენ, ახლა კი დიდი ამბავი, თქვენც თუ ვინმემ გადაგაგდოთ. გულს ნუ გაიტეხთ, ახია თქვენზე!“

ირაკლი ლომაიას განცხადებას თამრიკო ჭოხონელიძის შვილი, მარიამ როინიშვილი, გამოეხმაურა:

„ეს ბიჭი ჯანმრთელია? მართლა მაინტერესებს! და მოვითხოვ, რომ ქალბატონმა ეკა კვალიაშვილმა საჯაროდ გააკეთოს განცხადება ამ ცილისწამებასთან დაკავშირებით! ძალიან ბევრი მოგივიდათ უკვე! კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ერი ავად არის და ნუ გიკვირთ და ნუ ღიზიანდებით იმაზე, როცა ბევრი ამბობს, რომ ამ ქვეყნიდან წასვლა უნდა!“

როგორი იქნება კულტურის პოლიტიკა საქართველოში?

ეკა ირემაშვილი

როგორი იქნება კულტურის პოლიტიკა საქართველოში? ამ თემაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და მინისტრის მოადგილემ ლევან ხარატიშვილმა კულტურის პოლიტიკის ესტონელ ექსპერტ რაგნარ სიილს, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელ ოლივერ რაისნერსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელ ლუჩიანო გლორის უმასპინძლეს. შეხვედრაზე მხარეებმა კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების სტრატეგიული გეგმა განიხილეს.

– ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილების გაზიარება, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის სტანდარტების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს კულტურის პოლიტიკის შემუშავების სწორად წარმართვას. ევროპელი ექსპერტები ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს, მათ შორის საგანმანათლებლო სექტორისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეხვდნენ. კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში უკვე ჩაერთო რამდენიმე ათეული არასამთავრობო ორგანიზაცია და საგანმანათლებლო დაწესებულება. კულტურის სამინისტროში აღნიშნულ ჯგუფებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც. ჩვენი სამინისტრო განაგრძობს მუშაობას კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე, მთელი წლის განმავლობაში ამ პროცესში საზოგადოების ყველა სეგმენტი ჩაერთვება. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ჰქონდათ ბევრი შეხვედრა როგორც საჯარო სექტორთან, ასევე სხვადასხვა ენჯეოებთან, სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, ვიზიტის ბოლოს დაიგეგმა კონკრეტული ნაბიჯები იმისკენ, რომ დაიწყოს ამ სამოქმედო გეგმის შემუშავება, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება. კულტურის სფეროში თანამშრომლობა მოიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, ევროკავშირს და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის. როგორც მე-17 თავის 362-ე და 363-ე მუხლებში წერია: „მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციით განმტკიცებული პრინციპების სათანადოდ გათვალისწინების გზით. საერთო ინტერესების სფეროებში, მხარეები წარმართავენ მუდმივ დიალოგს დარგობრივ პოლიტიკაში, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კუთხით. მხარეთა შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ევროკავშირისა და საქართველოს კულტურის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გზით...“, „მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგ ძირითად სფეროებში: კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები; ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობა, და კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება; კულტურათაშორისი დიალოგი; კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგი; და თანამშრომლობა საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, როგორებიცაა იუნესკო და ევროპის საბჭო, რათა, ინტერალია, ხელი შეეწყოს კულტურულ მრავალფეროვნებას, შეინარჩუნოს და სათანადოდ განავითაროს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებანი“.

კულტურის პოლიტიკის შემუშავების სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია კულტურის სამინისტროში ჯერ კიდევ წინა მინისტრის გურამ ოდიშარიას დროს გაიმართა. როგორც მაშინ გურამ ოდიშარიამ განაცხადა: „სამინისტროში მუშაობის პირველივე დღეებში რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან „არტარეაში“, „ჰაინრიხ ბიოლის ფონდში“, კულტურის სამინისტროში, ყველგან მეკითხებოდნენ, როგორი იქნებოდა სამინისტროს საქმიანობის ვექტორი? იმთავითვე, პირველი დღეებიდანვე ვლაპარაკობდი მემკვიდრეობითობის პრინციპსა და იმ პრიორიტეტებზე, რომელიც უნდა გამხდარიყო ჯერ კულტურის პოლიტიკის კონცეფციის, ხოლო შემდეგ კი მისი სტრატეგიის საყრდენი. კულტურის პრიორიტეტები 2013 წლის იანვარში კულტურის სამინისტროს ვებგვერდზე გამოვაქვეყნეთ: ქვეყნის მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; რეგიონებში კულტურის ცენტრების შექმნა; თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო აზიაში; 2. ამერიკელი მოკრივე, დაუმარცხებელი ჩემპიონი მძიმე წონაში; 3. ციური სხეული; 5. ტყედ წაყვანილი ქართველებისგან შემდგარი, პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში; 7. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად; 9. კანონებში არსებული წინააღმდეგობა, შეუსაბამობა; 13. პოპულარული სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კროსვორდის გამომგონებელი; 16. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 18. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. საბილიარდოს თანამშრომელი; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 8. დანიის დედაქალაქი; 10. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 11. იტალიელი კინორეჟისორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 12. დაქირავებული კავალერი; 14. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. ღუდის სასმელი კათხა; 19. პურეული მცენარე; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 22. გეოდეზიური ხელსაწყო; 23. სამართალდამცავი ადმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პიგმალიონი; 2. კუვეზი; 3. გრდემლი; 4. ბრიჯი; 5. სიტროენი; 6. ჭუპრი; 7. ლიმპოპო; 9. ვიტესი; 13. გაყრა; 17. მახა; 18. კია.

თარაზულად: 1. პარსეკი; 3. გალები; 8. ჩინური; 10. ვედრება; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. ამირანი; 16. ნამყო; 19. მარუხი; 20. ჯინჯილა; 21. სურამი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გუდაური; 2. ანტონიმი; 3. ალაბამა; 5. მატეზერი; 7. მურილიო; 9. სუბმარინა; 13. შამპანი; 15. ჰავანა; 16. საღამო; 18. სპილო.

თარაზულად: 4. ჯურღმული; 6. კონსულო; 8. კაპიტოლიუმი; 10. ბაიკერი; 11. ბუმი; 12. პირელი; 14. ოჭარა; 17. კრონა; 19. ხვატი; 20. ჰამბურგი; 21. აურა; 22. კალვადოსი; 23. დონბასი.

თენგიზ აბულაძის იუბილე ბათუმში აღინიშნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლები“, რომელიც ასევე არაერთი პრიზით დაჯილდოვდა. ფილმისთვის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ თენგიზ აბულაძემ მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი ბრატისლავის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

მის კინოკარიერაში გამორჩეულია ტრილოგია – „ვედრება“, „ნატვრის ხე“ და „მონანიება“. „ვედრება“ მან ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით გადაიღო და რამდენიმე პრემია მიენიჭა. ჯილდოების გარეშე არ დარჩენილა არც მისი ტრილოგიის მეორე ფილმი „ნატვრის ხე“. თენგიზ აბულაძის ტრილოგიის ბოლო ფილმია „მონანიება“, რომელიც ასევე არაერთი პრიზით აღინიშნა. მისი სხვა ფილმებია „სვანური ჩანახატები“, „სამკაული სატრფოსათვის“, „მუზეუმი ღიაცის ქვეშ“.

თენგიზ აბულაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, იგი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პირველი შემოქმედებითი გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელადაც დაინიშნა, იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი.

რეჟისორი 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ბათუმის საავტორო კინოფესტივალის ფარგლებში ერთი დღე თენგიზ აბულაძესა და მის შემოქმედებას დაეთმობა. ორგანიზატორების მიერ დაგეგმილია სემინარი „თენგიზ აბულაძის კინოშემოქმედება“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნანა ჯანელიძე, ელდარ შენგელაია, რეზო ესაძე, ზაზა ხალვაში, ავთო მახარაძე, ქეთი აბულაძე, ლელა ოჩიაური, მიხეილ კობახიძე, რომან ბალაიანი. ამავე დღეს ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცეში გაიხსნება თენგიზ აბულაძისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

კინოფესტივალზე საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში ნაჩვენები იქნება იუბილარი რეჟისორის ორი ფილმი „მონანიება“, რომელიც ბათუმშია გადაღებული და წელს 30 წლისთავი სრულდება ფილმის შექმნიდან და „ვედრება“. ფილმის „მონანიება“ ჩვენებას დაესწრება ფილმში მონაწილე რამდენიმე მსახიობიც. ფილმების ჩვენება ბათუმის ცენტრალურ ერას მოედანზე ღია ცის ქვეშ დიდ ეკრანზე გაიმართება.

თენგიზ აბულაძის შვილის, ქეთი აბულაძის განცხადებით, მამის იუბილე არავის გახსენებია.

ქეთი აბულაძე:

– ჩემთვის არავის მოუმართავს, ამიტომ, შესაბამისად, არც თენგიზ აბულაძის იუბილე აღნიშნულა.

– არც კულტურის სამინისტროს?

– არა.

– არც ეროვნულ კინოცენტრს?

– არა.

– არც კინოკავშირს?

– არა.

– იქნებ წლის განმავლობაში არის დაგეგმილი რაიმე ღონისძიებები?

– არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავის დაურეკავს და ვერაფერს გეტყვით.

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა როგორც საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირს, ასევე ეროვნულ კინოცენტრს. კინოკავშირში განაცხადეს, რომ თენგიზ აბულაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით რაიმე სახის ღონისძიება დაგეგმილი არ არის, ეროვნულ კინოცენტრშიც განმარტეს, რომ არავითარი კულტურული ღონისძიება ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილი არ არის.

ამიკო ჩოხარაძე: „ბოლომდე დავიხარჯეთ და გავიმარჯვეთ!“

ეკა ირემაშვილი

იუმორისტი ამიკო ჩოხარაძე თანამოაზრეებთან ერთად „კავეენის“ 2014 წლის პრემიერლიგის ჩემპიონობას ზეიმობს. ის საქართველოს „კავეენის“ ნაკრების ხელმძღვანელთან სოფო ბანძავასთან და ნაკრების წევრ ლევან გოგორელიანთან, იმავე ფაქოსთან ერთად ჟურნალისტებს შეხვდა და საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრების წარმატებაზე ესაუბრა.

ამიკო ჩოხარაძე, იუმორისტი:

– გამარჯვების მოლოდინი, რა თქმა უნდა, გვქონდა. განწყობა იყო ისეთი, რომ უნდა გაგვიმარჯვა და გავმხდარიყავით ჩემპიონები. რა თქმა უნდა, ვნერვიულობდით, მაგრამ დავიხარჯეთ ბოლომდე, შედეგსაც მივაღწიეთ და გავიმარჯვეთ. უმაღლესი ქულებით, უმაღლესი შეფასებით გადავედით უმაღლეს ლიგაში და ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი წარმატებაა საქართველოს ნაკრებისთვის კავეენში. სიტყვა „კავეენს“ იმიტომ ვხმარობ, რომ „კავეენია“ და ამ თამაშს ასე ჰქვია. მოკლედ რომ ვთქვა, მოლოდინმა გაამართლა. ამაში დაგვეხმარა ძალიან ბევრი ადამიანი, ერთმანეთსაც ვეხმარებოდით, მაგალითად სოსო პავლიაშვილი, რომელიც 12 ქართველთან ერთად მე-13 ქართველი იყო. რა თქმა უნდა, მან ძალიან დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ჩვენ ჩემპიონები გავმხდარიყავით, დიდი მადლობა მას ჩვენი დახმარებისთვის და არა მარტო იმისთვის, რომ მხარში ამოგვიდგა. ის რუსეთში ერთ-ერთი ცნობილი „გრუზინია“ და ის ქართველობას არ კარგავს. ასევე დიდი მადლობა მიხეილ ხუბუტიას, რომელიც ჩვენი სპონსორია და არა მარტო სპონსორი, ის არის ჩვენი მეგობარი და ერთ-ერთი, უფრო სწორად, ერთადერთი აქტიური გულშემატკივარი, რომელიც ყოველ თამაშზე დადის და გვგულშემატკივრობს და ჩვენც ძალიან გვიხარია, რა თქმა უნდა. კომფორტიდან დაწყებული, აქ არა მარტო ფიზიკური კომფორტი იგულისხმება, მორალური კომფორტიდან დაწყებული, ყველაფრით დამთავრებული იზრუნა მიხეილ ხუბუტიამ და მადლობა მას ამისთვის. ასევე მინდა მივმართო ყველა იმ ადამიანს, რომელსაც აქვს საშუალება, რომ არა მხოლოდ კავეენში, სპორტის განხრით, ხელოვნების განხრით, თუ შეუძლია გვერდით დაუდგეს ადამიანებს, მხარი დაუჭიროს მათ და ამაზე კარგს არაფერს გააკეთებს.

ლევან გოგორელიანი, ფაქო:

– ვისაც კავეენი უთამაშია, იცის, შიგნიდან როგორია ეს ყველაფერი. ეს არის უდიდესი აზარტი, როცა შენს წინ სხვა გუნდები გადიან, იცი, რომ შენც უნდა ითამაშო. მეორე კონკურსის მერე გაჩნდა ეჭვი, რომ ვეღარ მოვიგებდით თამაშს და მესამეზე რომ გავედით, ყველა ამბობდა, რომ გამოხვედით ისე, როგორც მგლებით, დასაკარგი აღარაფერი გვქონდა, ან ვაგებდით, ან ყველაფერი უნდა დაგვედო და მოგვეგო. საკუთარ თავს არავინ ვგავდით, იქ რომ გავედით და მოვიგეთ 3 ქულით. ვინც არ იცის, შეიძლება მისთვის მარტივად ჟღერდეს სამი ქულით მოგება, მაგრამ სინამდვილეში ძალიან რთულია სამი ქულითაც მოგება. დანარჩენი თამაშები იყო მერვედფინალი, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, არ მოგვიგია არც ერთი თამაში სამი ქულით, არც ერთ გუნდს არ მოუგია. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჟიურის სამივე წევრმა უმაღლესი ქულა 5 დაგვიწერა და ამით გავიგეთ, რომ ჩვენ არა მარტო ჩემპიონები გავხდით, არამედ სამი ქულით მაღლა ვიდექით, ვიდრე ნებისმიერი სხვა გუნდი, რომელიც ჩვენთან ერთად მონაწილეობას იღებდა ამ თამაშებში. გასათვალისწინებელი ფაქტორია ის, რომ ჩვენ ვთამაშობთ ჩვენთვის უცხო ენაზე, ის არის რუსული თამაში და რუსეთში, მოსკოვში, რუსულ ენაზე, მათივე ენაზე საქართველოს ნაკრებმა მოიგო ეს ჩემპიონატი, რაც ორმაგად სასიხარულო უნდა იყოს ჩემი აზრით, მე ნამდვილად ძალიან გამიხარდებოდა ეს რომ გამეგო. ძალიან დიდი მადლობა ვინც იყო მოსული, მათ შორის, ქართველთა კავშირი, რომელიც გვგულშემატკივრობდა. სხვანაირია, როცა სცენაზე გამოდიხარ, აცხადებენ შენი გუნდის სახელს და დარბაზში არის ჟრიამული, გულშემატკივრობა, როცა მოსკოვში ფრიალებს შენი ქვეყნის დროშა, ქართველები ვმღერით „ტურფავ, ტურფავ“ ხმამაღლა და მთელი რუსეთი რომ გისმენს, ეს მართლა ძალიან კარგი შეგრძნებაა. კიდევ არის ქართველი კავეენშჩიკების გუნდი, რომელიც იმყოფებოდა ბაქოში ფესტივალზე და ისევ მიემგზავრებიან. მინდა მათ წარმატებები ვუსურვო, ძალიან კარგია, რაც უფრო მეტი ვიქნებით, მეტი შანსი გვექნება ბევრი პრიზი, ბევრი საჩუქრები და ბევრი კარგი ამბები ჩამოვიტანოთ. ამით, ანუ ჩვენი ჩემპიონობით ყველაფერი არ დამთავრებულა, პირიქით, პრემიერლიგის მოგებით ყველაფერი ახლა დაიწყო, საფუძველი ჩაეყარა უფრო მეტს, წინ უმაღლესი ლიგა გველოდება, რისთვისაც მინიმუმ ორმაგი შრომა იქნება საჭირო, რომ ჩვენ ჩვენი სათქმელი ვთქვათ იმ უმაღლეს ლიგაში, რომელსაც მოსკოვის უმაღლესი ლიგა ჰქვია.

სოფო ბანძავა, საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრების ხელმძღვანელი:

– ეს ერთადერთი წარმატებაა საქართველოს „კავეენის“ ისტორიაში, რომელსაც მიაღწია ქართულმა გუნდმა. ის ისტორიაში ერთადერთია და გახდა 2014 წლის პრემიერ-ლიგის ჩემპიონი. სეზონი გაიმართა მოსკოვში, იყო სატელევიზიო ვერსია და ქართული გუნდის წარმატება, ვფიქრობ, ყველა ქართველისთვის სასიხარულოა, რადგან ეს იყო არა მარტო ქართული გუნდის გამარჯვება, არამედ მთელი საქართველოს გამარჯვება დიდ ასპარეზზე, რომელსაც დაახლოებით 300-მა მილიონმა ადამიანმა ადევნა თვალყური ტელევიზიის საშუალებით და იუთუბის და სხვა პორტალების საშუალებით ამ გამარჯვებას კიდევ მრავალი ადამიანი ნახავს. ეს სეზონი მიმდინარეობდა 2014 წლის განმავლობაში, ფინალი ჩატარდა 5 სექტემბერს, მონაწილეობას სულ 25 გუნდი იღებდა, ფინალში კი 6 გუნდი გავიდა. საქართველოს „კავეენის“ ნაკრებმა გამარჯვება 3 ქულიანი სხვაობით მოიპოვა და ჩემპიონიც გახდა.

თბილისის ძველი ეკლესიები ფოტოალბომში გაერთიანდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკა ანთიძის გადაწყვეტილებით, შემუშავდა ეროვნული სააგენტოს ახალი ინიციატივა – თბილისის ძველი ეკლესიებისა და საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაციის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, დაიგეგმა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც თბილისში არსებული ყველა რელიგიური კონფესიის საკულტო-არქიტექტურული ნიმუშების ინვენტარიზაციას და ფოტოფიქსაციას განახორციელებს, სამუშაო ჯგუფი შექმნის სააღრიცხვო ბარათებს, მოამზადებს ძეგლთა არქიტექტურულ-კონსტრუქციულ წინასწარულ დასკვნებს და შეისწავლის საკულტო ნაგებობებთა ირგვლივ არსებულ სოციალურ გარემოს.

პროექტის დასკვნით ნაწილში მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა ფოტოალბომი სახელწოდებით „თბილისის ძველი ეკლესიები და საკულტო ნაგებობები“.

– თბილისში საუკუნეების განმავლობაში ერთად თანაარსებობდა მართლმადიდებლობა თუ სომხური გრიგორიანიზმი, კათოლიციზმი თუ იუდეველობა, ისლამი თუ ცეცხლთაყვანისმცემლობა და თითოეულმა მათგანმა შექმნა მისთვის და იმავდროულად დედაქალაქისთვის დამახასიათებელი საკულტო არქიტექტურა, რომელიც ორგანულად განსაზღვრავს თბილისის საერთო სახეს, რომელსაც მუდმივი დაცვა და განვითარება სჭირდება, – აცხადებს ნიკოლოზ ანთიძე.

როგორი იქნება კულტურის პოლიტიკა საქართველოში?

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ლების ხელშეწყობა; შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება-ხელშეწყობა; საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სათვისტომოების ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა; ეროვნული უმცირესობების კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა; ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემოს შექმნა და სხვა. ამავე წელს ჩემივე ბრძანებით, შექმნილმა კომისიამ მუშაობა დაასრულა კულტურის კონცეფციაზე, რომელიც დახვეწას საჭიროებს. არსებული კონცეფციის დეტალებზე უკვე კონკრეტული სფეროების სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ. კონცეფცია ატვირთულია ჩვენს ვებგვერდზე და ველით თქვენს შენიშვნებს. ამ პროცესის დასრულებისთანავე, სავარაუდოდ, 2 თვეში, მუშაობა უნდა დავიწყოთ კულტურის პოლიტიკის სტრატეგიაზე. კანონმდებლობასა და ბიუჯეტს მისადაგებული კულტურის პოლიტიკის სტრატეგია ხანგრძლივ დროზე იქნება გათვლილი. კულტურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემდეგ დაიწყება კულტურის პოლიტიკის შემუშავება. XXI საუკუნეში სახელმწიფო და საზოგადოება ერთად უნდა ქმნიდეს ქვეყნის კულტურის პოლიტიკის სტრატეგიას. პარალელურად, ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გამიჯნოს კულტურა და პოლიტიკა და ეს პროცესი უნდა გახდეს მასშტაბური და სრულფასოვანი. ჩემი დაკვირვებით, მაგალითად, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის პოლიტიკური კულტურის მაღალმა დონემ დიდად განაპირობა ამ ქვეყნების კულტურის პოლიტიკის მაღალეფექტურობა. კულტურის პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული რეფორმებთან, მაგრამ რეფორმებს დრო და ქვეყნის შესაბამისი ეკონომიკური დონე სჭირდება. მაგალითად, სამოციანი წლების საფრანგეთში კულტურის სამინისტროს ახალ შემადგენლობას ოთხი წლის მომზადება დასჭირდა მხოლოდ იმისათვის, რომ რეფორმების განხორციელება დაეწყო. კულტურისა და ეკონომიკის წარმატებული სიმბიოზი თანამგზავრობა უნდა გაგვიწიოს ქვეყნის განვითარების გზაზე. კითხვაზე, რომელი ქმნის რომელს: ქვეყანა კულტურას თუ კულტურა ქვეყანას? ასეთი პასუხი მაქვს, ქვეყანა კი ქმნის კულტურას, მაგრამ საბოლოო ჯამში, სწორედ კულტურა ხვეწს ქვეყანას, ცნობადად აქცევს და ახალ ჰორიზონტებს უსწავლის... კულტურა და ეკონომიკა, ეს ორი ისეთი მოვლენაა, რომელთა შორის შეუთანხმებლობა, გაუგებრობა, დისჰარმონია აუცილებლად შექმნის კრიზისულ ვითარებას. ეს კი სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსებობს კულტურის პოლიტიკის 5 მოდელი. ექსპერტები ასევე ცალკე გამოყოფენ კულტურის დაფინანსების 4 მოდელს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო გამოცდილება და ამავე დროს აუცილებელია ქვეყნის ტრადიციებისა და სხვა სპეციფიკის გათვალისწინება. კულტურის პოლიტიკის მთავარი აქცენტები ასე გამოიკვეთა: დღეიდან ვიწყებთ კამპანიას „ერთად შევქმნათ კულტურის პოლიტიკა“. გეპატიჟებით ყველას, ვისაც გაქვთ სურვილი გამოხატოთ თქვენი აზრი ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გარშემო. მაქვს სურვილი 2015 წელი გამოვაცხადოთ კულტურის წლად, თბილისი კი კულტურის დედაქალაქად. კულტურის პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოვიწვევთ უცხოელ ექსპერტებს, გავიზიარებთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებას. ვიწყებთ მოლაპარაკებებს „იუნესკოსთან“ და ევროკომისიასთან. სამუშაო პროცესში უნდა ჩაერთონ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. უახლოეს პერიოდში შეიქმნება უწყებათაშორისი კომისია. კულტურის პოლიტიკის შემუშავების პროცესში ასევე, ჩაერთვებიან სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები: არასამთავრობო ორგანიზაციები, საპატრიარქო, სტატისტიკის დეპარტამენტი, კერძო სექტორი, მედია, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და სხვა. ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, კულტურის პოლიტიკაზე მუშაობაში აქტიურად ჩაერთვებიან რეგიონებიც. უკლებლივ ყველა რეგიონში მოხდება სამუშაო შეხვედრები და პრეზენტაციები და ბოლოს, კულტურის პოლიტიკა ორიენტირებული იქნება კულტურის ხელმისაწვდომობაზე, კულტურულ მრავალფეროვნებაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, მისი პოპულარიზაციის ზრდაზე.“

გურამ ოდიშარიას ამ ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა. ის თანამდებობიდან გადააყენეს. კულტურის პოლიტიკაზე კი ახლა მისი მემკვიდრე მიხეილ გიორგაძე მუშაობს.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
17 სექტემბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**შაგდა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი**" **მწარე ცხოვრება**" **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ლირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტური. **00.40** მხ/ფ "**ტიბერიო მიტრი**" **ჩემპიონი და მის იტალია**"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. "**შურის-მაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ლირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შაპი ფარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 2**" **23.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **1** სერ. **00.00** მხ/ფ "**ლოკაუტი**" (მ.გრეისი) **01.45** მხ/ფ "**თავშესაფარი**"

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**პაპრიკაპელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადა**" **22.00** "ნანუკას შოუ" - დაწყება **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** კიმონო - დაწყება **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი **03.30** დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.)

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი "ლენა"** **10.00 18.00** **სერიალი "მენტალისტი"** **10.55, 15.00, 22.00, 00.30** მხ/ფ **13.05, 21.00** **სერიალი "ინტერპოლის ოფიცერი"** **14.00** სტილი **16.30, 19.30** გაიფტ თეწაშუთ **19.00** ვარსკვლავთა ცხოვრება **20.00** დ/ფ **00.00** კიბერჰაუსი **02.30** მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**ბრაფი მონტე კრისტო**" შშ ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ "**ბაკულას ღორები**" **13.45** კონცერტი - ელისო ბოლქვაძე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ "**მობიდიკი**" შშშ სერია **16.15** დეკორატიული ფლორა **16.30** დიდ ხარ შენ, უფალო **16.45** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ "**ვედრება**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.15** დ/ფ "ტაოკლარჯეთი" შშშ ნაწ. **23.40** წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ბრაფი მონტე კრისტო**" შშშ სერ.

მაესტრო **7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **8.40, 22.00** ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ჟუზეი და გუნეი"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"** **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

პროგრამები
იბეჭდება სააგენტო
„ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7360	ევრო — 2.2433
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8194	100 რუსული რუბლი — 4.5701

ამინდის პროგნოზი 17 სექტემბრისთვის

კალეიდოსკოპი

მსახიობი მეძავი ეგონათ

პოლიციელებმა დაიკავეს მსახიობი დანიელ უოტსი, რომელიც მეძავი ეგონათ. აღნიშნული ინციდენტი ლოს-ანჯელესში მოხდა, როდესაც უოტსი ტელეფონზე

საუბრობდა, თავის მეუღლეს ბრაიან ლუკასს აკოცა. პოლიციელებმა ქალს ხელბორკილები დაადეს და საპატრულო მანქანაში მას შემდეგ ჩასვეს, როდესაც მან პირადობის მოწმობის წარდგენაზე უარი განაცხადა. ამის თაობაზე ფეისბუქში საკუთარ გვერდზე თავად მსახიობმა დაწერა.

მას შემდეგ, რაც მსახიობის ვინაობა დაადგინეს, სამართალდამცავებმა უოტსი გაათავისუფლეს.

დანიელ უოტსის თქმით, როდესაც ის პოლიციის მანქანაში იჯდა, გაახსენდა, თუ როგორ უყვებოდა მამა პოლიციელთა მხრიდან უსაფუძვლო დაკავებებისა და შეურაცხყოფის შესახებ. მისი თქმით, სამართალდამცავების მოქმედებამ ის აატირა.

დანიელ უოტს მონაწილეობა აქვს მიღებული სერიალებში „როგორ შევხვდი დედათქვენს“ და „კონანი“. ყველაზე მეტად ცნობილი კი იგი კვენტინ ტარანტინოს ფილმ „ჯანგო განმათავისუფლებელი“ მონა ქალის როლის შესრულების შემდეგ გახდა.

უხუცესი რომანოვი გარდაიცვალა

ნიკოლოზ რომანის ძე რომანოვი, რომელიც რომანოვების სამეფო გვარის უხუცესი წარმომადგენელი იყო, 92 წლის ასაკში ტოსკანაში გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას გარდაცვლილის ძმაზე დმიტრი რომანოვზე დაყრდნობით იტარტასი ავრცელებს. ის რუსი იმპერატორის ნიკოლოზ I-ს შვილიშვილის შვილია.

ნიკოლოზ რომანოვი 1922 წელს საფრანგეთში დაიბადა. 1936 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად რომში გადავიდა, სადაც მან სწავლა ჰუმანიტარულ აკადემიაში დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს მან უარყო იტალიის ხელისუფლების მეთაურის მუსოლინის წინადადება, გამხდარიყო ოკუპირებული ჩერნოგორიის მეფე.

1989 წელს ნიკოლოზ რომანოვი სათავეში ჩაუდგა რომანოვების გვარის წევრთა გაერთიანებას, ხოლო 1992 წელს ის პირველად ეწვია თავის ისტორიულ სამშობლოს რუსეთს. ის დაკავებული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით, ასევე იყო რომანოვების დინასტიის ისტორიკოსი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

TAT

თბილისის ტურიზმის აკადემია
Tourizm Academy of Tbilisi

გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე:

გიდი, ინტერნეტტექნოლოგი (კომპიუტერი), კორესპონდენტი, მუსიკოს-რეპეტიტორი.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი. გათვალისწინებულია 30% შეღავათი სწავლის გადასახადში მესხეთისა და მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სოციალურად დაუცველთათვის.

თბილისი, კოსტავას ქუჩა №47
ტელ.: 293 66 03; 293 54 30; 299 96 26
მობ.: 599 18 89 24; 599 14 60 26
www.turizmiedu.ge

23 სექტემბრიდან
ქართული დეტექტივი — ტომი 1
მგლის ბილიკი
„ახალ თაობასთან“ ერთად

თენგიზ აბულაძის იუბილე ბათუმში აღინიშნება

ეკა ირემაშვილი

ქართველი კინოკლასიკოსის თენგიზ აბულაძის 90 წლის იუბილე ბათუმში საავტორო ფილმების მე-9 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართება. „მონანიება“, „ვედრება“, „ნატვრის ხე“ – ეს ის ფილმებია, რომლებითაც თენგიზ აბულაძემ ქართულ კინემატოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა.

თენგიზ აბულაძეს 90 წელი იანვარში შეუსრულდა, ბათუმი მის იუბილეს მოგვიანებით 18 სექტემბერს აღნიშნავს. 2014 წელი თენგიზ აბულაძისთვის საიუბილეოა. მას 31 იანვარს 90 წელი შეუსრულდებოდა. როგორც მისი შვილი, მსახიობი ქეთი აბულაძე აღნიშნავს, ეს დღე არაფრით გამორჩეული არ ყოფილა.

თენგიზ აბულაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით მილოცვის ტექსტი გაავრცელა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელშიც წერია:

„დიდ ქართველ რეჟისორს თენგიზ აბულაძეს დღეს 90 წელი შეუსრულდებოდა. თენგიზ აბულაძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ კულტურასა და კინოში. მისმა ფილმებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და მსოფლიო კინოს შედევრებად იქცა.

საბჭოთა რეჟიმის უმძიმეს წლებში, როდესაც თითოეული სიტყვაც კი უმკაცრეს ცენზურას გადიოდა, თენგიზ აბულაძე ახერხებდა, თავისი სათქმელი უნიკალური მხატვრული ხერხებითა და თითოეული კადრით ეთქვა მაყურებლისთვის. ამიტომაც იყო ყოველთვის უდიდესი ინტერესი მისი ფილმების მიმართ და ამიტომაც არ კარგავს აქტუალობას დღემდე მისი შემოქმედება.



დიდი რეჟისორის ფილმები ქართველი მაყურებლისთვის ძვირფასი და საყვარელია. ეს ის ფილმებია, რომლებიც არასოდეს დაგვიწყებს ნამდვილი ხელოვანის, თენგიზ აბულაძის სახელს“.

ქართველი კინორეჟისორი, თენგიზ აბულაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და სსრკ სახალხო არტისტია. მისი სადიპლომო ნამუშევარია კინონარკვევი „დიმიტრი არაყიშვილი“. მას შემოქმედების ადრეულ წლებში რეზო ჩხეიძესთან ერთად გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები „ჩვენი სასახლე“, „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“. ამ ფილმმა მიიღო მთავარი პრიზი „ოქროს რტო“ კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალზე და პირველი პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე.

რეჟისორის პირველი დამოუკიდებელი ფილმია „სხვისი შვი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

მერაბ კოკოჩაშვილი „დიდი მწვანე ველის“ შექმნას იხსენებს

ეკა ირემაშვილი

ქართველი კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი თავის კინობიოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფილმის, „დიდი მწვანე ველის“, შექმნას იხსენებს.



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვიდეოპროექტის „ერთი ფილმის ისტორია“ ფარგლებში ეროვნულ არქივს კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი ეწვია და „დიდი მწვანე ველის“ შექმნის ამბავს გაიხსენა.

– ეროვნული არქივის პროექტის ფარგლებში, ცნობილი ქართული მხატვრული ფილმების შექმნის შესახებ თავად რეჟისორები მოუთხრობენ მაყურებელს. ამ დროისათვის უკვე ხელმისაწვდომია ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავის“, რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამისა“ და ნანა მჭედლიძის „იმერული ესკიზების“ ისტორია. აღნიშნული კინოდოკუმენტები ეროვნულ არქივში ინახება, ამასთან, ხელმისაწვდომია სოციალური მედიის საშუალებით და მისი ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, – განუცხადა „ახალ თაობას“ საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა თეა ქიმერიძემ.

ეროვნულ არქივში უკვე იმყოფებოდა კინორეჟისორი ელდარ შენგელაია. პროექტის „ერთი ფილმის ისტორია“ ფარგლებში მან ფილმის „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ შექმნის ისტორია გაიხსენა. რეჟისორმა დაინტერესებულ პირებს გულწრფელად უამბო მუშაობის პროცესზე, მსახიობებთან ურთიერთობაზე, ფილმის პრემიერასა და სხვა საინტერესო დეტალებზე. რეჟისორის მოგონებების პარალელურად, წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი კინოსურათიდან. „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ეროვნული არქივის ვიდეოპროექტის მესამე ნამუშევარია, რომლის გარდა უკვე გადაღებულია – „ერთი ფილმის ისტორია – ჯარისკაცის მამა“ და „ერთი ფილმის ისტორია“ იმერული ესკიზები“, სადაც კინორეჟისორები რეზო ჩხეიძე და ნანა მჭედლიძე მათ მიერ გადაღებული კინოსურათების შექმნის ისტორიას ყვებიან.

ანეკდოტი

ექიმი თავის კაბინეტში დაბრუნდა და მის მომლოდინე პაციენტს ეუბნება:

– მომიტევეთ, რომ ასე დიდხანს გალოდინეთ.

– არა უშავს, არა უშავს, მხოლოდ ის არის სამწუხარო, რომ ჩემს ავადმყოფობას უფრო ადრეულ სტადიაზე ვერ მოუსწარით.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემ ცოლს ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, არ მელაპარაკება.

– კი მაგრამ, რატომ?

– ასეთი შეთანხმება გვქონდა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენ სიცრუის დეტექტორი თუ გაქვს ნანახი?

– რა თქმა უნდა, უკვე ხუთი წელია, ერთად ვცხოვრობთ!

●●●

რუსი სმს-ს შეტყობინებას იღებს:

– გამარჯობა! წამოხვალ ჩვენთან ერთად დასალევად? ერთი ყუთი არაყი გვაქვს!

– რა თქმა უნდა! რომელი ხარ?

●●●

„მე შენ მიყვარხარ“ – ამბობენ ქართველები.

„აი ლოვ იუ“ – ამბობენ ინგლისელები.

და მხოლოდ ჩინელები აკეთებენ საქმეს უსიტყვოდ.

●●●

ადვოკატი ბრალდებულს:

– შენთვის ორი ამბავი მაქვს: ცუდი და კარგი!

– ცუდი რომელია?

– თქვენი სისხლის ანალიზმა თქვენი დნმ-ისა და მოკლულზე აღმოჩენილი დნმ-ს სრული იდენტურობა დაადასტურა!

– კარგი რომელიღაა?

– თქვენს სისხლში ქოლესტერინის შემცველობა მხოლოდ 140-ია!

●●●

ცოლი სახლში დაბრუნდა, ჩანთიდან ლუდი, თევზი, კიბორჩხალები ამოალაგა, სუფრა გაშალა და ქმარს ეკითხება?

– დღეს ფეხბურთს არ უყურებ?

– მაგრადაა დამტვრეული???

– ფარი, ბამპერი და კაპოტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. გერმანიაში გამოყვანილი სამოსამსახურეო ძაღლის ჯიში; 2. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 3. იტალიური რესტორანი; 4. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 6. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მეფის სიგელი, 13. ფულის ერთეული ყაზახეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო, მოლაპარაკე ფრინველი.

თარაზულად: 1. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 3. ზოგიერთი მცენარის, მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი; 8. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. ქართული ჩაი; 11. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 12. უბანი ძველ თბილისში; 14. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 15. კუთხე საქართველოში; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. კოლუმბიის დედაქალაქი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. ქერისგან მომზადებული, უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ასტროპროგნოზი 17 სექტემბრისთვის

ფრთხილად იყავით!

ვერძი – ნუ ენდობით უცხო პირებს, მოგატყუებენ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელითა საჩუქარი. **ლომი** – დღეს საქმე კარგად წაგივათ. **ქალწული** – სახლში დიდი სიხალისეა. **სასწორი** – ფული გაქვთ, მეტსაც იშოვით. **ღრიანაული** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** – კარგად დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თხის რქა** – ახალ მწვერვალს დაიპყრობთ. **მერწყული** – მეგობრებს შეხვდებით და კარგად გაერთობით. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!